გრეტა ივანიშვილი*

ახალი პარტიების ფორმირების გზები (2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები)

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ახალი პოლიტიკური პარტიების ფორმირების გზები ხუთი შედარებით წარმატებული პარტიის მაგალითზე ("ანა დოლიძე - ხალხისთვის", "საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ევროპელი სოციალისტები" და "ელენე ხოშტარია - დროა"). მათგან პირველი ლიდერის მიერ ახალი პარტიის შექმნის მცდელობაა; ოთხი მომდევნო კი არსებულ პარტიებში მომხდარი განხეთქილების შედეგად წარმოიშვა. ასევე, გამოყოფილია ლიდერის მნიშვნელობა ქართულ პარტიულ პოლიტიკაში.

სტატიაში გაანალიზებულია ზემოთ აღნიშნული პარტიების ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები, მათი საგარეო ორიენტაცია და, აგრეთვე, დაფინანსებისა თუ შემოწირულობების გამჭვირვალობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პოლიტიკური პარტიები, არჩევნები, პოლიტიკური ლიდერები.

შესავალი

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნები უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაციისა და დაძაბულობის, ამავდროულად გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული კრიზისული სიტუაციის პირობებში ჩატარდა. არჩევნების წინ საარჩევნო კოდექსში განხორ-

---

* ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

ციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ახალი პარტიებისა თუ კოალიციების ფორმირებისთვის დამატებითი სტიმულები შექმნა. კერძოდ, 2021 წლის 28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში შეიტანა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალურ საკრებულოებში პროპორციულად არჩეულ წევრთა წილი გაიზარდა, შემცირდა საარჩევნო ბარიერი - თბილისის საკრებულოსთვის მინიმალურ ბარიერად 2,5% დასახელდა, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტების შემთხვევაში 3%-ით განისაზღვრა. ცვლილებები განხორციელდა წარმომადგენლობით ორგანოებში წევრთა რაოდენობის გაზრდის თვალსაზრისითაც, კერძოდ თვითმმართველ ქალაქებში საკრებულოს წარმომადგენელთა რაოდენობა აღნიშნულ არჩევნებზე 25-დან 35-მდე გაიზარდა, თბილისის საკრებულოს შემადგენლობა კი კვლავ 50 წევრით განისაზღვრა.

ზოგადად, არჩევნების წინ ქართული პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ახალი პოლიტიკური სუბიექტების ფორმირება, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ საარჩევნო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა პოლიტიკურ ლიდერებს ახალი პოლიტიკური ძალების შესაქმნელად გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები შეუქმნა, დაბალი პროცენტული ბარიერი კი სტიმულად იქცა ახალი პარტიების შესაქმნელად.

სტატიაში განვიხილავთ იმ პოლიტიკურ სუბიექტებს, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შორის ჩამოყალიბდნენ და წარმატებას მიაღწიეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ოფიციალური მონაცემებით, მასში სულ 43-მა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა, ხოლო 9 პარტიას რეგისტრაცია სხვადასხვა მიზეზით გაუუქმდა - ერთმა პარტიამ განაცხადი გააუქმა, სამ პარტიას რეგისტრაციაზე ვადის გაშვების, დოკუმენტებში ხარვეზების არგამოსწორების გამო ეთქვა უარი, დანარჩენ ხუთს კი კანდიდატების წარმოუდგენლობის გამო (ცესკო. მუნიციპალიტეტის

ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნები.). აღნიშნული 43 პოლიტიკური სუბიექტიდან 8 მათგანი უშუალოდ 2021 წელს, თვითმმართველობის არჩევნების წინ შეიქმნა, ხოლო მე-9 - "ევროპელი სოციალისტები" მიუხედავად ოთხი საპარლამენტო მანდატის ფლობისა, მათ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა პირველად მიიღეს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ შექმნილ პოლიტიკურ პარტიებს:

საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება	თავმჯდომარე	პროპორციულ არჩევნებში მიღებული ხმები (ქვეყნის მასშტაბით)	პროპორციულ არჩევნებში მიღებული ხმები (თბილისი)
ერი - მირიან მირიანაშვილი	მირიან მირიანაშვილი	0.037% (651 ხმა)	0.0118% (565 ხმა)
სახე+	ედნარ ბაგრატიონი	0.013% (224 ხმა)	სია არ წარუდგენია
მესამე გზა	გიორგი თუმანიშვილი	0.022% (386 ხმა)	0.055% (264 ხმა)
ელენე ხოშტარია - დროა	ელენე ხოშტარია	0.615% (10 859 ხმა)	2.143% (10262 ხმა)
გახარია - საქართველოსთვის	გიორგი გახარია	7.808% (137 764 ხმა)	8.894% (42596 ხმა)
ევროპელი სოციალისტები	ფრიდონ ინჯია	0.152% (2 682 ხმა)	0.048% (231 ხმა)

გირჩი - მეტი თავისუფლება	ზურაბ გირჩი ჯაფარიძე	1.443% (25 467 ხმა)	3.299% (15799 ხმა)
ანა დოლიძე - ხალხისთვის	ანა დოლიძე	0.85% (14 988 ხმა)	2.576% (12337 ხმა)
გოგი წულაია - ახალი ქრისტიან-დემოკრატები	გიორგი წულაია	0.072% (1270 ხმა)	0.084% (403 ხმა)

ცხრილი 1: 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ შექმნილი პარტიები

ჩამოთვლილი 9 პოლიტიკური ორგანიზაციიდან 5 მათგანი - "ერი - მირიან მირიანაშვილი", "სახე+", "მესამე გზა", "გოგი წულაია - ახალი ქრისტიან-დემოკრატები", და "ანა დოლიძე - ხალხისთვის" ახალი პარტიების შექმნის მცდელობაა, ხოლო დანარჩენი 4 - "ელენე ხოშტარია - დროა", "გახარია - საქართველოსთვის", "ევროპელი სოციალისტები" და "გირჩი - მეტი თავისუფლება" პარტიული განხეთქილების შედეგად წარმოიქმნა. ჩვენი კვლევის ობიექტად შევარჩიეთ 5 პოლიტიკური პარტია, რომლებიც შედარებით წარმატებული აღმოჩნდა თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით და შემდგომი ფუნქციონირებით. ესენია: „საქართველოსთვის", „გირჩი - მეტი თავისუფლება", „ანა დოლიძე - ხალხისთვის", „ევროპელი სოციალისტები" და "ელენე ხოშტარია - დროა". მოცემული პარტიების ჩამონათვალი ცხადჰყოფს, რომ წარმატებული აღმოჩნდა ის პარტიები, რომლებიც განხეთქილების შედეგად წარმოიშვა.

პირველ რიგში, წარმატების კრიტერიუმად მივიჩნიეთ არჩევნებში მოპოვებულ ხმათა რაოდენობა თბილისისა და საქართველოს მასშტაბით. აღნიშნულ პარტიებს, ცხრილში მოცემულ სხვა დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით, მეტმა ამომრჩეველმა დაუჭირა ხმა. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ ჩამოყალიბებული პარტიებიდან თბილისის საკრებულოს არჩევნებში

მხოლოდ ჩვენი კვლევის ობიექტებმა, გარდა ევროპელი სოციალისტებისა, შეძლეს 2.5%-იანი ბარიერის გადალახვა, რის შედეგადაც მანდატები პარტიიდან "საქართველოსთვის" - ლევან დოლიძემ, ზაზა თავაძემ, სალომე კობალაძემ და გიორგი შარაშიძემ, ხოლო პარტიებმა "გირჩი - მეტი თავისუფლება" და "ანა დოლიძე - ხალხისთვის" თითო-თითო ადგილი - თენგიზ კირთაძემ და ალექსანდრე რატიშვილმა მოიპოვეს. რეგიონების მასშტაბით დაწესებული 3%-იანი ბარიერი მხოლოდ პარტიამ "საქართველოსთვის" გადალახა - 7.808%-ით. თბილისის მასშტაბით წარმატებული აღმოჩნდა პარტია "ელენე ხოშტარია - დროა", რომელმაც ხმათა 2,143% (10 262 ხმა) მოიპოვა. მოცემულმა პარტიამ თბილისის სამ მაჟორიტარულ ოლქში წარადგინა კანდიდატები, კერძოდ გლდანში - ელენე ხოშტარია (ხმათა 31,177%), ვაკეში - ბათუ ქუთელია (ხმათა 26, 088%) და კრწანისში - თამაზ ახობაძე (ხმათა 12,612%). რაც შეეხება პარტიას "ევროპელი სოციალისტები", მართალია მათ თვითმმართველობის არჩევნებში დაწესებული ბარიერი ვერ გადალახეს, თუმცა პირველი ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი ბოიკოტის მიუხედავად პარლამენტში შევიდა, ფორმირების, თვითდამკვიდრებისა და ამჟამინდელი დანიშნულების კვლევა სტატიის თემატიკისთვის საინტერესოა. სტატიაში წარმოდგენილია მოცემულ პარტიათა ჩამოყალიბების გზები, გამოკვეთილია პარტიის ლიდერთა როლი, იდეოლოგიური მიკუთვნებულობა, საპროგრამო პრიორიტეტები და დაფინანსების წყაროები.

თეორიული მიმოხილვა და კვლევის მეთოდოლოგია

საქართველოში პოლიტიკური სპექტრის ფორმირების პროცესი არ დამთავრებულა. ახალ პარტიათა შექმნას საქართველოს კანონმდებლობა მნიშვნელოვან ბარიერებს არ უქმნის (ნოდია., გ., 2006). მოცემული გარემოება კი ყოველი არჩევნების წინ ახალი პო-

ლიტიკური სუბიექტების შექმნას უწყობს ხელს. როგორც საქართველოს ორგანულ კანონში (კონსოლიდირებული პუბლიკაცია, 2021) ვკითხულობთ, პოლიტიკური ორგანიზაციის შესაქმნელად მოქალაქეთა 300-კაციანი ჯგუფია საკმარისი, ყოველგვარი წინასწარი ნებართვის გარეშე, პარტიის დამფუძნებელი ყრილობის ჩასატარებლად, თუმცა მხოლოდ ჩამოყალიბება არ არის საკმარისი პარტიული სპექტრის განვითარებისთვის. ახლადწარმოქმნილი პარტიების წარმატებაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის არჩევნების ორგანიზების მეთოდი, ლიდერის როლი, პარტიათა დაფინანსებისა და იდეოლოგიური მიკუთვნებულობის საკითხები. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს პარტიები ძირითადად პარტიული განხეთქილების შედეგად წარმოიქმნა. თავის მხრივ, პარტიული განხეთქილება შიდაპარტიული და ინტერპარტიული ურთიერთობების შედეგია (Cotta., 1996). ზოგიერთი ავტორი განხეთქილებით შექმნილი პარტიების ფორმირებას პარტიის შიგნით არსებულ ფრაქციონალიზმს, აზრთა სხვადასხვაობასა და მყიფე პოლიტიკურ კავშირებს მიაწერს (Demirkol., 2014). გარდა ამისა, მიჩნეულია, რომ ახალი პარტიების ჩამოყალიბება ახალი პოლიტიკური მოთხოვნების დაყენების მიზნით მეტ ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე აქამდე არსებული პოლიტიკური არხების - სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისა და უკვე არსებული პარტიების გამოყენებას. მათი ფორმირება შესაძლებელი ხდება მაშინ, როდესაც უკვე არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები ვეღარ პასუხობენ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს (Kitschelt., 1988). პარტიული ფორმირების შემდგომი წარმატება კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. ახალი პარტიების წარმატების პირველ მახასიათებლად საარჩევნო სისტემის ტიპი და საარჩევნო ბარიერი მიიჩნევა, რომელსაც სამართლებრივი რეგულაციების ერთობლიობად მოიხსენიებენ, სადაც პარტიული უპირატესობები ტრანსფორმირდება ხმათა რაოდენობაში, ხოლო ხმები კი შესაბამის მანდატებ-

ში (Baldini., Pappalardo., 2009). თუმცა იქამდე, სანამ ახალი პოლიტიკური პარტიები არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას, საჭიროა მათი ფინანსური უზრუნველყოფა საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. პარტიების ძირითადი შემოსავლის წყარო წევრებისა და გარეშე პირებისგან, აგრეთვე, კერძო ბიზნესისგან მიღებული შემოწირულობებია (ნოდია., გ., 2006), მაგრამ, მეორე მხრივ, პოლიტიკური ორგანიზაციები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებული სახელმწიფო სუბსიდიებზე (Biezen., Kopecky., 2007). აქედან გამომდინარე, პარტიებსა და ბიზნესს შორის კლიენტელისტური დამოკიდებულება, სუსტი იდეოლოგიური ბაზისი წარმოშობს ახალ სპეციფიურ პარტიებს, რომელსაც ო. კირჩაიმერი (1966) ყოვლისმომცველ პარტიებს უწოდებდა. ამგვარი პარტიები ხასიათდებიან სუსტი ორგანიზაციითა და პერსონალიზაციის დონის მაღალი მაჩვენებლით, რაც განაპირობებს მათ ასოცირებას უფრო მეტად ლიდერთან, ვიდრე იდეოლოგიურ მიკუთვნებულობასა თუ წინასაარჩევნო პროგრამასთან (მელიქიძე. გ., 2015). თანამედროვე ტიპის ქართული ყოვლისმომცველი პარტიების განხილვისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, განსხვავება პროდასავლური და პრორუსული გზავნილების კუთხითაც. 2020 წლის მედია მონიტორინგის შედეგად ანტიდასავლური გზავნილების მზარდი ტენდენცია გამოიკვეთა, სადაც განცხადებათა ყველაზე მაღალი წილი ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული (კინწურაშვილი., თ., 2020). მოცემულ გზავნილებს განსაკუთრებით პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ავრცელებდნენ, რამაც კიდევ უფრო აქტუალური გახადა მტრულად განწყობილი სახელმწიფოდან - რუსეთიდან ქართული პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხის შესახებ დისკუსია. საგამოძიებო ჟურნალისტური პლატფორმის "დოსიე" ანგარიშში (2020) მოცემულია ცნობები "საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" და მისი გაყოფის შედეგად წარმოქმნილი პარტიის "ევროპელი სოციალისტების" კრემლთან უშუალო კავშირებზე, ამიტომაც ნაშრომში ჩვენ მიერ

განხილული ახალი პოლიტიკური პარტიები შესწავლილია საგარეო პრიორიტეტების თვალსაზრისითაც. შესაბამისად, მოცემულ სტატიაში 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ ჩამოყალიბებულ პარტიებს განვიხილავთ ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლების ჭრილში, კერძოდ, გამოვყოფთ მათი ფორმირების გზებს, დაფინანსებასა და შემოწირულობების ადრესატებთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ იდეოლოგიურ სპექტრსა და საგარეო პოლიტიკურ კურსს, აგრეთვე, ლიდერის როლს ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნისას.

სტატიაში განსაზღვრულია 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ შექმნილი პარტიების - "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ელენე ხოშტარია - დროა" და "ევროპელი სოციალისტები" ფორმირების გზებს, საპროგრამო პრიორიტეტებს, შემოსავლებისა და დაფინანსების მოძიებისა და გამჭვირვალობის საკითხს, ამისთვის ჩატარდა სიღრმისეული ანალიზი ზემოთ ხსენებული პოლიტიკური პარტიების ოფიციალური გვერდების და წინასაარჩევნოდ წარდგენილი ოფიციალური პოლიტიკური დოკუმენტების, სადაც მათი სამოქმედო გეგმაა წარმოდგენილი. სტატიაში მოცემული ინფორმაცია ემყარება წინასაარჩევნო პროგრამების მონიტორინგს, ხოლო პოლიტიკური პარტიების ლიდერებისა და წარმომადგენლების საჯარო გამოსვლები შეფასებულია კონტენტ-ანალიზის მეშვეობით.

კვლევის შედეგები/დისკუსია

სტატიაში შესწავლილია 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს წარმოქმნილი წარმატებული პარტიები. წარმატების კრიტერიუმად, პირველ რიგში, მიჩნეულია არჩევნებში მოპოვებული ხმების რაოდენობა, ლიდერის პოპულარობა და პარტიის ფინანსები.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ გამოიკვეთა პარტიების ფორმირების ორი გზა - პარტიული განხეთქილება და ახალი პარტიის შექმნის მცდელობა. სულ შეიქმნა 8 პარტია, თუმცა საპარლამენტო პარტიამ "ევროპელი სოციალისტები" არჩევნებში პირველად მიიღო მონაწილეობა. სტატიაში შესწავლილი 5 პოლიტიკური სუბიექტიდან 4 ("საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ელენე ხოშტარია - დროა", "ევროპელი სოციალისტები") პარტიული განხეთქილების შედეგად არის წარმოქმნილი, გამონაკლისია "ანა დოლიძე - ხალხისთვის", რომელიც ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პოლიტიკური სუბიექტების ლიდერები მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილებით გამოირჩევიან. შესაბამისად, მოცემული პარტიების ფორმირებაში საკვანძო მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერ-პერსონას.

აღნიშნული პარტიები გამოირჩევიან პარტიული შემოწირულობების არათანაბარი რაოდენობით. ყველაზე ნაკლები დანახარჯი ჰქონდათ პარტიებს "ანა დოლიძე - ხალხისთვის" და "გირჩი - მეტი თავისუფლება", ყველაზე მეტი კი პარტიას "საქართველოსთვის". მცირე დანახარჯის მიუხედავად არჩევნებში მოპოვებული ხმათა დიდი რაოდენობა ამ პარტიათა ლიდერის პოპულარობაზე მეტყველებს.

პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიური პლატფორმების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური შეხედულებები მემარცხენე-მემარჯვენე ნარატივით აქვთ პარტიებს - "გირჩი - მეტი თავისუფლება" და "ანა დოლიძე - ხალხისთვის", დანარჩენი სამი პარტია ავლენს შედარებით ცენტრისტულ ან სულაც ბუნდოვან დამოკიდებულებას იდეოლოგიური მიკუთვნებულობის მიმართ.

ახალ პარტიებში საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით სჭარბობს პროდასავლური შეხედულებები, თუმცა გამონაკლისი არის "ევროპელი სოციალისტები", რომლის წარმომადგენლებიც მჭიდრო კავშირში არიან სხვადასხვა კრემლისტურ ორგანიზაციებთან.

სტატიაში გამოყოფილია პოლიტიკასა და ბიზნესს შორის არსებული საეჭვო კავშირები, განსაკუთრებით "ევროპელი სოციალისტების" შემთხვევაში, რომლის წევრებიც რუსულ კაპიტალთან აქტიურად თანამშრომლობენ.

საიტების - Radiotavisufleba.ge, Netgazeti.ge, da Civil.ge, იანვარი-თებერვლის ახალი ამბების კონტენტ-ანალიზისას, დადგინდა, რომ ამ ხუთი პარტიიდან ყველაზე მეტად ნიუსები გახარიასა და პარტიის "საქართველოსთვის" შესახებ იწერება, თუმცა სტატიები ძირითადად ვიწრო, პიროვნული დაპირისპირებების ჩვენებით შემოიფარგლება და ნაკლებად წარმოადგენს პარტიის მიზნების, შეხედულებების გამომხატველ დოკუმენტებს. დანარჩენი პარტიები იშვიათად, ან სულ არ ფიგურირებენ ამ დროის განმავლობაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თანამედროვე პოლიტიკაში არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს.

პარტიის შექმნის განსხვავებული გზები - პარტიული განხეთქილება და ახალი პარტიის შექმნა

2020-2021 წლის საარჩევნო ციკლის პერიოდში შექმნილი პოლიტიკური სუბიექტების ჩამოყალიბების გზები განსხვავებული იყო: კერძოდ, აღნიშნული 4 პარტიიდან სამი - "საქართველოსთვის", "ევროპელი სოციალისტები", "გირჩი - მეტი თავისუფლება" და "ელენე ხოშტარია - დროა" უკვე არსებულ პარტიებში მომხდარი განხეთქილების შედეგად წარმოიშვა.

პარტია "საქართველოსთვის" ლიდერი, გიორგი გახარია წლების განმავლობაში ითვლებოდა "ქართული ოცნების" ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ "მენეჯერად", თუმცა შიდაპარტიული დაპი-

რისპირებისა თუ აზრთა სხვადასხვაობის მოტივით, ეს უკანასკნელი 2021 წლის თებერვალში საკუთარ გუნდს განუდგა. იქამდე სანამ ქვემოთ ამ განხეთქილების შესახებ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ გახარიას პოსტიდან გადადგომამ ახალი პარტიის დაარსებას ჩაუყარა საფუძველი და "ქართული ოცნების" ელექტორატიც გახლიჩა, რაც გამოვლინდა კიდეც 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებით - "საქართველოსთვის" იქცა მესამე გავლენიან პოლიტიკურ ძალად "ქართული ოცნებისა" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" შემდეგ.

შიდაპარტიული განხეთქილების ნიადაგზე წარმოიშვა, აგრეთვე, "გირჩი - მეტი თავისუფლება". "გირჩის" შემთხვევაში ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, გიორგი გახარიას მსგავსად, აშკარად გამოკვეთილი ლიდერი-პერსონის სტატუსით სარგებლობდა. ბუნებრივია, მისმა წასვლამ ამ პარტიის არაერთ წევრს უბიძგა, რომ "გირჩი - ახალი პოლიტიკური ცენტრი" დაეტოვებინა და პოლიტიკური კარიერა ჯაფარიძის ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაეგრძელებინა. შესაბამისად, ორად გაყოფილი პარტიის ძველი ფრთა იაგო ხვიჩიას თავმჯდომარეობით და მისგან ჩამოცილებული ახალი პოლიტიკური ძალა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ.

პარტია "დროას" ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ 2020 წლის დეკემბერში დატოვა პარტია "ევროპული საქართველო" და სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ იგი არ აპირებდა სხვა რომელიმე პარტიაში გადასვლას, არამედ გეგმავდა ახალი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის შექმნას. "ევროპული საქართველოს" ლიდერმა, დავით ბაქრაძემ ხოშტარიასა და პარტიას შორის განხეთქილების ბრალდებებს "ბინძური ჭორები" უწოდა, ვინაიდან, მისი თქმით, ელენე ხოშტარიას დამოუკიდებელი აქტივიზმის მიმართულებით სურდა პოლიტიკური კარიერის გაგრძელება, მაგრამ ისინი თანამოაზრეებად მაინც რჩებოდნენ.

რაც შეეხება პარტიას "ევროპელი სოციალისტები", იგი "პატრიოტთა ალიანსის" საარჩევნო სიაში შემავალი 4 კანდიდატის - ფრიდონ ინჯიას, ავთანდილ ენუქიძეს, გელა მიქაძეს და დავით ზილფიმიანის ინიციატივით შეიქმნა და 2020 წლის არჩევნების შემდგომ საკანონდმებლო ორგანოშიც ამ სახელით შევიდა. მოცემულ შემთხვევაში "პატრიოტთა ალიანსში" დაპირისპირება პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით დაიწყო; მისი ზოგიერთი წევრი, პარტიის ლიდერები სხვა ოპოზიციური პარტიების მსგავსად, ბოიკოტს უცხადებდა საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციონირებას, პარტიული სიის მომდევნო წევრებმა კი მზაობა გამოთქვეს პარლამენტში შესვლაზე, თუნდაც სხვა პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების ფასად.

ზემოთ განხილული ოთხი პარტიისგან განსხვავებით, პარტია "ანა დოლიძე - ხალხისთვის" ადრე არსებული პარტიის დაშლით არ წარმოქმნილა. აღსანიშნავია, რომ პარტიად ფორმირებამდე, "ხალხისთვის" ჯერ სახალხო მოძრაობა იყო, რომელიც ძირითადად სოციალურ თემატიკასა და სამოქალაქო აქტივიზმზე ახდენდა ფოკუსირებას. თავად პარტიის თავმჯდომარემ, ანა დოლიძემ პირველად 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად მიიღო მონაწილეობა, დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარულ ოლქში, ხოლო 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე კი პარტიის პრეზენტაცია და პირველი ყრილობა დაანონსა. თავად ანა დოლიძეს თქმით, მისი გუნდი ახალ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს, რომელიც მაქსიმალურად იქნება მიმართული ხალხის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გაუმჯობესებისკენ.

ლიდერის როლი პარტიის ფორმირებაში

ქართულ პოლიტიკურ პარტიებში ლიდერების როლი ძალზედ დიდია. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ ჩამოყალიბებულ ოთხიდან სამ პარტიას გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდე-

რი ჰყავს, რომლის პოპულარობაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული პარტიის წარმატება.

„საქართველოსთვის“ ლიდერი გიორგი გახარიას პოლიტიკური კარიერა 2013 წლის მარტიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს ბიზნეს-ომბუდსმენად დაინიშნა. თუკი მის ბიოგრაფიას გადავხედავთ, მომდევნო წლები გახარიასთვის, ფაქტობრივად, პოლიტიკური კარიერის იერარქიულ სტრუქტურაში პერმანენტული გაუმჯობესებით ხასიათდება. 2014-2019 წლებში იგი სწრაფად იცვლიდა პოზიციებს, დაწყებული მთავრობის ეკონომიკური საბჭოს მდივნის თანამდებობიდან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შინაგან საქმეთა მინისტრისა და, ბოლოს, პრემიერ-მინისტრის პოსტზე ყოფნით. წარსულში “ქართული ოცნების” ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა ამ დროის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რასაც, ბუნებრივია, მის მიმართ საზოგადოებრივი აზრის პოლარიზებაც სდევდა თან - გახარიას, როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლისადმი, პოლიტიკური დღის წესრიგის ერთ-ერთი შემოქმედისადმი, ცალსახად ურთიერთსაპირისპირო შეხედულებები წარმოიშობოდა. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა გახარიასთვის 2019 წლის ე.წ. “გავრილოვის ღამე” (კუნჭულია. ლ., ივნისი 19, 2020. *“გავრილოვის ღამემდე და მერე.* რადიო თავისუფლება). მასშტაბური საპროტესო აქცია, რომელიც მოჰყვა რუსეთის დუმის დეპუტატის, სერგეი გავრილოვის მიერ საქართველოს პარლამენტში თავმჯდომარის სავარძლის დაკავებას, სამართალდამცველებმა რეზინის ტყვიებითა და წყლის ჭავლით დაშალეს. ბუნებრივია, საზოგადოებამ პასუხისმგებლობა იმჟამინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი გახარიას დააკისრა, მოგვიანებით კი ამაზე თვითონ გახარიამაც ისაუბრა - “20 ივნისი ჩემი მორალური ტვირთია და მე ამ ტვირთს ვატარებ” (რადიო თავისუფლება, 02 ოქტომბერი, 2021. *გიორგი გახარია - “ოცნების” გმირი და მოღალატე*). “მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სი-

ცოცხლის" საფრთხეში ჩაგდება მიზანშეუწონლად მიიჩნია პრემიერმა 2021 წლის 18 თებერვალს, "ნაციონალური მოძრაობის" ოფისში ნიკა მელიას დასაკავებლად გამართული სპეცოპერაციის დროს, რასაც მისი გადადგომა მოჰყვა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს "ქართული ოცნების" სიით პირველი კანდიდატი, გიორგი გახარია, თეა წულუკიანის შეფასებით - გუნდში "საუკეთესო" მოთამაშე, მმართველი პარტიიდან წასვლის შემდეგ, მალევე იქცა პოლიტიკური კრიტიკის მთავარ ობიექტად, გარდა "თვალთხარიას" ეპითეტისა, "მოღალატის", "კოკაინშიკისა" თუ სხვა არაერთ ბრალდებასთან დაკავშირებით საჯაროდ მოუწია თავის მართლება. მიუხედავად დისკრეტიდაციის აქტიური კამპანიისა, თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკოსთა რეიტინგის მიხედვით (კუნჭულია. ლ., 06 აპრილი, 2020. *IRI-ს კვლევა პოლიტიკური კრიზისის სარკეში.* რადიო თავისუფლება), გიორგი გახარია რიგით პირველ ადგილს იკავებდა 65%-ით. მას მოსდევდა კახა კალაძე, 54%-ით, ხოლო მესამე ადგილი კი დავით ბაქრაძეს ერგო, 52%-ით. აღნიშნული კვლევა 2021 წლის 2-დან 26 თებერვლამდე ჩატარდა, ამ პერიოდში - 18 თებერვალს გადადგა პრემიერი პოსტიდან, რაც, ცხადია, იმაზე მეტყველებდა, რომ გიორგი გახარიას მიმართ პიროვნული თუ პოლიტიკური სიმპათია დამოკიდებული იყო არა პარტიულ მიკუთვნებულობაზე, არამედ ცალკეული პერსონისადმი საზოგადოების კეთილგანწყობაზე (Civil.ge, 06 აპრილი, 2021, *პოლიტიკოსები IRI-ის კვლევის შედეგებს აფასებენ.*).

გიორგი გახარიას მსგავსად, საკუთარი პარტიის ფორმირებამდე ანა დოლიძეც აქტიურად იყო ჩართული საჯარო საქმიანობაში. კერძოდ, მისი კარიერა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან" იწყება, ხოლო უფრო გვიან პერიოდში, 2015-2016 წლებში, დოლიძე თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობასაც იკავებდა.

ერთ-ერთ ინტერვიუში დოლიძე აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგში ჩართულობა მისთვის დიდი ხანია იქცა ნაცნობ ფენომენად. მიუხედავად ჯერ კიდევ დოლიძეს სტუდენტობის წლებში მაშინდელი იუსტიციის მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ჩამოყალიბებული კეთილგანწყობისა, ამ უკანასკნელის პრეზიდენტობის დროს, ანა დოლიძე "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტიური ოპონენტი იყო. "ქართული ოცნების" მმართველობის პირველ წლებში, იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობის გარდა, პრეზიდენტ მარგველაშვილის საპარლამენტო მდივნის პოსტსაც იკავებდა. პოლიტიკურ ტრიბუნაზე დგომის არსებულმა გამოცდილებამ პოლიტიკოსისთვის ჯერ გამოხატულება სამოქალაქო აქტივიზმში ნახა, რომლის პარალელურადაც მან დამოუკიდებელ კანდიდატად იყარა კენჭი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარულ ოლქში, ხოლო შემდგომში კი უკვე პოლიტიკურ ორგანიზაციად ფორმირებაში, რომელმაც პირველად მონაწილეობა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მიიღო. ანა დოლიძის თქმით, წევრთა კონსოლიდირების საფუძველი არა მატერიალური ბენეფიტი, არამედ სრული იდეოლოგიური თანხვედრა იყო, რასაც თან ერთვოდა მათი მზაობა კეთილდღეობის სახელმწიფოს ასაშენებლად.

პარტიული მიკუთვნებულობა "გირჩი - მეტი თავისუფლების" დამფუძნებლის, ზურაბ გირჩი ჯაფარიძისთვისაც არახალია, ვინაიდან იგი ჯერ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის", შემდეგ კი "ახალი პოლიტიკური ცენტი - გირჩის" წევრი იყო. 2012-2016 წლებში ჯაფარიძე საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წვერი იყო "ნაციონალური მოძრაობის" სიით, ხოლო მის დატოვებამდე აღნიშნული პარტიის აღმასრულებელი მდივნის ფუნქციასაც ითავსებდა. 2015 წელს, პარტიდან წასვლის შემდეგ, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, მალევე ახალი პარტია, "გირჩი" დაარსა. დამფუძნებელ შეკრებაზე ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ქვეყნის მთავა-

რი პრობლემა პოლიტიკური ელიტისა და მოსახლეობის გაუცხოვებაა ერთმანეთისგან, ვინაიდან პოლიტიკური სუბიექტები "არ არიან ამ ადამიანების გამხმოვანებლები". აქედან გამომდინარე, მან გუნდის სახელით გააჟღერა სურვილი, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია მზად იყო ყოფილიყო "ქართველი მოსახლეობის, ანუ მათი ხმა, ვინც ყოველდღე შრომობს, წვალობს, ვისაც არ აქვს წამლის ფული და ცხოვრობს სიღატაკეში", თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პარტიის დაარსებიდან რამდენიმე წელში გუნდში მომხდარმა პოლიტიკურმა განხეთქილებამ თუ განსხვავებულმა ინტერესებმა ზურაბ გირჩი ჯაფარიძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად აქცია, რასაც მალევე მოჰყვა მისი მხრიდან ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებაც. პოლიტიკოსი უფრო ღია, გახსნილი პლატფორმის დაარსებას დაპირდა ახალგაზრდებს. მისივე თქმით, "გირჩის" მთავარი მონაპოვარი ახალგაზრდების პოლიტიკის მიმართ ინდიფერენტულობის დამარცხება იყო. შესაბამისად ახალი თაობითა და შედარებით უცხო სახეებით პოლიტიკური სპექტრის გაჯანსაღება კეთილდღეობისკენ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, IRI-ის კვლევის თანახმად, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე უფრო მეტმა ადამიანმა შეაფასა უარყოფით პოლიტიკურ ფიგურად, ვიდრე დადებითად, რაც ცალსახად ზრდასრულთათვის მისი "თამამი", ღია და საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი პოლიტიკური კურსის შედეგია (რადიო თავისუფლება. 05 აპრილი, 2021. *IRI-ის კვლევა: გამოკითხულთათვის ყველაზე მისაღები საჯარო პირები არიან ილია II, გახარია, კალაძე*).

პარტიული საქმიანობა ელენე ხოშტარიამაც "ნაციონალური მოძრაობის" შემადგენლობაში დაიწყო 2016 წელს, თუმცა მისი გაყოფის შემდეგ იგი პარტია "ევროპულ საქართველოს" შეუერთდა. ანა დოლიძის მსგავსად, საზოგადოებას ელენე ხოშტარიამაც სამო-

ქალაქო აქტივიზმით დაამახსოვრა თავი. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ განვითარებული შიდაპოლიტიკური დაძაბულობების ფონზე, ის ყოველთვის იდგა გაერთიანებული ოპოზიციის მიერ გამართული აქციების ავანგარდში. შესაბამისად, იგი ოპოზიციურმა კოალიციამ არჩევნების წინ თბილისის საკრებულოს თავჯდომარის კანდიდატად დაასახელა.

ზემოთ დასახელებული ოთხი პარტიისგან განსხვავებით, "ევროპელი სოციალისტების" შემთხვევაში ლიდერის მნიშვნელობა ყველაზე ნაკლებად გამოიხატება. მაშინ, როდესაც გიორგი გახარია, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე, ანა დოლიძე და ელენე ხოშტარია ლიდერისთვის დამახასითებელი ქარიზმით შეგვიძლია გამოვარჩიოთ, "ევროპელი სოციალისტები" შეიქმნა ფართო მასებისთვის შედარებით უცნობ ბიზნესმენთა გაერთიანებით, რომლებიც ამ პარტიის ფორმირებამდე, გარდა "პატრიოტთა ალიანსის" წევრობისა, ამ პარტიის სოლიდურ შემომწირველთა სიაშიც ირიცხებოდნენ.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საკუთარ პარტიას გაემიჯნა პატრიოტთა ალიანსის საპარლამენტო სიით გასული ოთხი დეპუტატი, რომელთაც 2021 წლის 9 იანვარს ახალი პარტია - "ევროპელი სოციალისტები" დაარსეს (Civil.ge. 10 იანვარი, 2021. *პატრიოტთა ალიანსის სიით გასულმა დეპუტატებმა ევროპელი სოციალისტების პარტია დააფუძნეს*). პარტიის თავმჯდომარე ყოფილი ტელეკომუნიკაციების მინისტრი და 2000-2004 წლებში ლეიბორისტული პარტიის დეპუტატი, ფრიდონ ინჯიაა. აღსანიშნავია, რომ "ევროპელი სოციალისტები" პირველი ოპოზიციური პარტიაა, რომელიც მეათე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში, სხვა ოპოზიციური პარტიების ბოიკოტის ფონზე შევიდა. ყრილობაზე ახლადშექმნილი პარტიის წარმომადგენლებმა პირობა დადეს, რომ მაქსიმალურად ეცდებოდნენ პარლამენტში ღირსეული ოპონირების გაწევას მმართველი გუნდისთვის - დავით ზილფიმიანის განცხადებით, ყველა მათი წინადადება "მძაფრად არგუმენტირებული იქნებოდა", ხოლო

მიზნად კი სახელმწიფოსა და საზოგადოების ძირითადი ინტერესების გატარება, სასამართლო სისტემისადმი კრიტიკული მიდგომით საკეთილდღეო ცვლილებები და ძლიერი საშუალო ფენის შექმნა გამოცხადდა (კუნჭულია ლ. 09 იანვარი, 2021. *ფრიდონ ინჯიას "ევროპელი სოციალისტები" პარლამენტში "ქართულ ოცნებასთან" ერთად.* რადიო თავისუფლება). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავთანდილ ენუქიძე, ფრიდონ ინჯია, გელა მიქაძე და დავით ზილფიმიანი "პატრიოტთა ალიანსის" მეოთხე, მეხუთე, მეშვიდე და მერვე ნომრებით იყვნენ წარმოდგენილნი, თუმცა სიის პირველმა კანდიდატებმა უარი განაცხადეს პარლამენტში შესვლაზე, რასაც მათი მოცემული ოთხეულით ჩანაცვლება მოჰყვა.

საინტერესოა, "ევროპელი სოციალისტების" სახელწოდებით კონსოლიდირებული დეპუტატების საქმიანობა საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრამდე. რადიო თავისუფლება სტატიას მათ შესახებ შემდეგნაირად ასათაურებს: "პარლამენტში "პატრიოტთა ალიანსის" გავლით - რა სურთ ბიზნესმენ დეპუტატებს?" (კუნჭულია ლ. 05 იანვარი, 2021. რადიო თავისუფლება). "ოთხეული" აქტიურ ბიზნეს საქმიანობას ეწევა, მაგალითად, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" თანახმად, ავთანდილ ენუქიძე დაკავშირებულია არაერთ კომპანიასთან - შპს "გუდ ვეი", შპს "ავტოლუქსი", შპს "იანდექს ჯორჯია" და სხვა. ასევეა გელა მიქაძეც, მისი საქმიანობა არაერთ კომპანიას, მათ შორის შპს "ქართულ-რუსულ სავაჭრო სახლს", შპს "პრაიმ კონსტრაქშენსა" და სხვა მისთანებს მიემართება, თუმცაღა მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ბიზნეს სფეროსთან შედარებით პასიურია - კერძოდ, აღნიშნული პიროვნება მეცხრე მოწვევის პარლამენტში, ოთხი წლის განმავლობაში სულ სამჯერ გამოვიდა სიტყვით, მეტიც, სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო 1028 ლარის ოდენობით ჯარიმაც დაეკისრა. პარტიის თავმჯდომარე, ფრიდონ ინჯია 1992-1998 წლებში საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილის, შემდეგ კი მინის-

ტრის თანამდებობას იკავებდა. გარდა პოლიტიკური კარიერისა, აღნიშნული პიროვნებაც აქტიურადაა ჩართული ბიზნესაქმიანობაში და ისეთ კომპანიებთან ასოცირდება, როგორიცაა შპს "ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი - ფორტნეტი", შპს "მერანი", შპს "ახალი ქსელები" და სხვა. იგივე შეგვიძლია ვთქვათ, დავით ზილფიმიანზეც, რომლის მფლობელობაში არსებული კომპანიის "სტერეო +"-ის ძირითადი საქმიანობის სფერო ტელე-რადიო მაუწყებლობის მენეჯმენტი და საკომუნიკაციო ქსელების შექმნაა. აღნიშნული პიროვნებები ჯერ "პატრიორთა ალიანსის" საფარქვეშ, შემდგომ კი ახალ პოლიტიკურ ორგანიზაციად ფორმირების პირობებში ცდილობენ საკანონმდებლო ორგანოში საკუთარი ბიზნესინტერესების დაცვას. რთულია საუბარი იმის შესახებ თუ რამდენად აქვს მოტივაცია "ოთხეულს" საკუთარი დანაპირები, მმართველი პარტიის ღირსეული ოპონირების გაწევასთან დაკავშირებით, შეასრულოს, თუმცა, ერთი რამ ცხადია, რომ ქვეყნის გამოცდილებით, პარლამენტში მყოფი თითოეული ბიზნესმენი მაკონტროლებელ ფუნქციას უფრო მეტად საკუთარი საქმიანობის დასაცავად ირგებს ხოლმე. ამ თვალსაზრისით, მეტად ურთიერთგამომრიცხავია მათ მიერ შერჩეული სახელიც, პირველ რიგში, ბიზნესმენების მიერ სოციალური საკითხებით მანიპულირების გამო, მეორეც, მათ მიერ გაჟღერებული პოზიციები და პოლიტიკური შეხედულებები გამორიცხავს დასავლურ ორიენტაციას და, პირიქით, პრორუსულ ნარატივზეა ორიენტირებული.

როგორც ვნახეთ, ხუთივე პოლიტიკური პარტიის ლიდერი, თავისი პარტიის დაარსებამდე პარტიული მოღვაწეობის საკმაოდ ფართო გამოცდილების მქონეა, - თითოეული მათგანი მინიმუმ ერთი სხვა პარტიის წევრი იყო. აგრეთვე, ვფიქრობთ, ნათლად გამოჩნდა ლიდერის როლი თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში, ვინაიდან გარდა "ევროპელი სოციალისტებისა", პარტიები "საქართველოსთვის", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება"

ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ლიდერის არსებობით, რომლის გარშემოც თავმოყრილია პოლიტიკური გუნდი. აღნიშნული გარემოება ცალსახად მეტყველებს პოლიტიკური პერსონიფიცირების ფენომენის არსებობაზე თანამედროვე პოლიტიკაში, სადაც, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური პარტიის იდეოლოგია, ძირითადი პლატფორმა ნიველირებულია ლიდერის პიროვნული მახასიათებლების დემონსტრირების ფონზე.

ძირითადი საპროგრამო პრიორიტეტები

იდეოლოგიური თვალსაზრისით, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ წარმოქმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები საკმაოდ მრავალფეროვანია, ამიტომაც საპროგრამო პრიორიტეტების განხილვა უფრო მეტად გაგვიადვილდება, თუკი მათ პოზიციებს მემარცხენე-მემარჯვენე შკალაზე განვსაზღვრავთ.

ცალსახად მემარცხენე ფლანგიდან პოზიციონირებს ანა დოლიძე, რომელმაც ელექტორატს საკუთარი კანდიდატურა არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე წარუდგინა და განმარტა, რომ სახალხო ინტერესი მისთვის ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებულ ძალას, დაპირისპირებოდა მმართველ პარტიებსა თუ დიდ კორპორაციებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ "მერი ხალხისთვის" უნდა ყოფილიყო ის მთავარი ამოსავალი დებულება, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური პოლარიზაციის პირობებში, თბილისის მოსახლეობას დამოუკიდებელი კანდიდატისთვის უნდა დაეჭირა მხარი. შეიძლება ითქვას, რომ დოლიძის წინასაარჩევნო სტრატეგია კამპანიის სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს ეყრდნობოდა, რომლის ფარგლებშიც არაერთი აქცია-პერფორმანსი გამართა - აქცენტები ძირითადად ხალხის მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დასმული. მაგალითად, მისი მწვანე პოლიტიკის კონცეფციიდან შეგვიძლია გამოვყოთ კამპანიები გალაქტიონის ხიდზე - "მტკვარი ხალხისთვის" და "თბილისი ზრუ-

ნავს". ანა დოლიძის თქმით, სუფთა მტკვარი არაჩვეულებრივი რესურსია, როგორც სატრანსპორტო, ისე რეკრეაციული თვალსაზრისით ასათვისებლად. ამას გარდა, მერობის შემთხვევაში გეგმავდა გლდანის ტბასთან მდებარე ტერიტორიაზე ტყე-პარკის გაშენებას, სადაც მცხოვრებლებისთვის კომფორტული, ჰარმონიული გარემო შეიქმნებოდა. რაც შეეხება სოციალურ თემატიკას, აღნიშნული პარტია ჯერ კიდევ სახალხო მოძრაობად არსებობის დროიდან იღწვოდა განათლების, სტუდენტთა დაბეგვრის შემცირების, სტატუსშეჩერებული სტუდენტების დაფინანსების, სოციალური დაცვის, ღირსეული ანაზღაურების და პენსიის, შრომითი უფლებების, მსხვილი ბიზნესის რეგულირების პოლიტიკის განსახორციელებლად.

თბილისის მერობის კანდიდატისთვის კიდევ ერთი გამოწვევა ქართულ პოლიტიკაში გენდერული დისბალანსი იყო. მთელი კამპანიის ფარგლებში, ანა დოლიძე მუდმივად გმობდა იმ ტენდენციურობას, რაც პოლიტიკური სივრციდან ქალების გარიყვასა და მარგინალიზებას უწყობს ხელს. გენდერული უთანასწორობის გასაპროტესტებლად, პოლიტიკის სფეროში ქალთა მეტი ინტეგრაციის მიზნით (მითუმეტეს, რომ საქართველოში ამომრჩეველთა უმრავლესობა ქალია), პარტიამ "ხალხისთვის" საკრებულოსთან აქციაც გამართა, ლოზუნგით: "აღიარეთ ქალები პოლიტიკაში - მე ვიბრძვი - შემომიერთდი". ბუნებრივია, მნიშვნელობა არ ჰქონდა რა ხერხით ეცდებოდა ოპონენტი მის ჩაგვრას - ირიბი იგნორირებით თუ პირდაპირი ზეწოლით, ცხადია, მიზოგენური დამოკიდებულება ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს ყურადსაღებ ნაკლოვანებას, მითუმეტეს პოლიტიკური აქტორის მხრიდან.

პარტია "ხალხისთვის" იდეოლოგიურ ანტიპოდს წარმოადგენს "გირჩი - მეტი თავისუფლება" თავისი პროგრამით, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკიდურესად მემარჯვენე პოზიციებით გამოირჩევა თანამედროვე პოლიტიკურ სპექტრში. პარტიამ თვითმმართველობის არჩევნების წინ მერობის კანდიდატი არ წარადგინა, თუმცა

გამოაქვეყნა ზოგადი პროგრამა, სახელწოდებით "რძე და ყველი", (გირჩის პლატფორმა *"რძე და ყველი"*, აგვისტო 03, 2021) სადაც პარტიის პოლიტიკური ხედვებიდან რამდენიმე პრიორიტეტული პუნქტია გამოყოფილი, მაგალითად, მთავრობის მეტად შეზღუდვა, რაც გულისხმობს საკონსტიტუციო ჩამკეტი მექანიზმების ამოქმედებას მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. მეტი სიმდიდრე საქართველოს მოქალაქეებს - აღნიშნული კონცეფცია მოიაზრებს საშემოსავლო, მოგებისა და იმპორტის გადასახადის გაუქმებას, შესაბამის ანაზღაურებას მხოლოდ დღგ-სა და აქციზზე. ამას გარდა, პარტია ამომრჩეველს პირდებოდა ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწებისა და ტყეების უფასო რეგისტრაციას მესაკუთრეებზე, თუკი ადგილზე მოდავე არ არსებობდა, აგრეთვე, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწების, ტყეების, სასარგებლო წიაღისეულის, ე.წ. სახელმწიფო კომპანიებისა და უძრავი ქონების პრივატიზებას, ანუ მოქალაქეთა კუთვნილებაში გადაცემას. ამ შემთხვევაში ქონების მფლობელს ის უფლებაც კი ექნებოდა, რომ ყველანაირი რეგულაციის გარეშე საკუთრების კულტურული სტატუსი გაეუქმებინა. საყოველთაო ჯანდაცვის გაუქმება და მისი სადაზღვევო ვაუჩერით ჩანაცვლება, სამედიცინო კლინიკების პრივატიზება, სამედიცინო ლიცენზირების მინიჭების უფლებაზე სახელმწიფო მონოპოლიისა და რეცეპტების სავალდებულოობის გაუქმება - მოცემული პროგრამის პუნქტებია. მაშასადამე, მაშინ, როდესაც პარტია "ხალხისთვის" მეტი საჯარო სივრცის განაშენიანებას, განათლების ხელმისაწვდომობას, ჯანდაცვის ძლიერი პაკეტების, შრომითი უფლებებისა და მინიმალური ხელფასის დარეგულირებას სახელმწიფო ვალდებულებად მიიჩნევს, "გირჩი", პირიქით, მცირე სახელმწიფოს იდეას ემხრობა, სადაც სახელმწიფოს ხელთ არსებული ნებისმიერი ბერკეტი კერძო საკუთრებად უნდა იქცეს.

შედარებით ცენტრისტულ პოზიციას იკავებს პარტია "საქართველოსთვის", ვინაიდან მის პროგრამულ ხედვაში - "ჩვენი თბილისი", საუბარია ბიზნეს სექტორისთვის საინვესტიციო შეთავაზებაზე, ბიზნესისა და მოქალაქეთათვის თანაბარი პირობების შექმნასა და ეკონომიკური ინიციატივების წახალისებაზე, თუმცა ასევე პარტია თბილისის სოციალურად უზრუნველყოფასაც ემხრობა, რაც მათი თქმით, მუნიციპალური და ადგილობრივი სოციალური დახმარების სქემების შექმნას, ჯანდაცვის პროგრამებისა და მედიკამენტური ხარჯების დაფინანსების ზრდას, "შინმოვლის თანადაფინანსების პროგრამის" გაფართოებას, მუნიციპალური თავშესაფრის რესურსების ზრდას, ნგრევადი სახლების რეაბილიტაციას, უსაფრთხო საცხოვრისის შექმნასა თუ საბავშვო ბაღების რაოდენობის ზრდას გულისხმობს.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ წინასაარჩევნო პროგრამა არ წარუდგენია პარტიას "ელენე ხოშტარია - დროა", თუმცა თავად ელენე ხოშტარიას არაერთხელ დაუფიქსირებია საჯაროდ, რომ მისი პოზიციები ცენტრისტულია. პარტიის პირველ ყრილობაზე, მისმა წევრებმა განაცხადეს, რომ "დროა" არ არის შეზღუდული პარტიული ჩარჩოებითა და სტრუქტურიზებით, იგი ღიაა ყველასთვის, ვისაც პროგრესული იდეების განხორციელება სურს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოცემულ პოლიტიკურ ორგანიზაციას მკვეთრად გამოხატული იდეოლოგიური პლატფორმა არ აქვს.

არ არის ცნობილი "ევროპელი სოციალისტების" პროგრამა, თუმცა პარტიის ყრილობაზე მისმა წევრებმა განაცხადეს, რომ მათი ძირითადი სამუშაო სიღარიბის დაძლევა და ქვეყანაში ძლიერი საშუალო ფენის ფორმირებაა. "ქვეყანაში არსებობს ძალიან მცირე მდიდარი ფენა და ძალიან ბევრი ღარიბი... ევროსოციალისტების მიზანი სიღარიბის პრობლემის აღმოფხვრაა" - ამგვარად განმარტა დავით ზილფინიანმა "ევროპელი სოციალისტების" პოლიტიკური

მიზანის არსი, თუმცა პარტიას არ წარუდგენია მცირე პროგრამა მაინც, რომელიც ელექტორატისთვის გასაგებს გახდიდა პარტიის სამომავლო გეგმებსა და ძირითად სამოქმედო არეალს. ცალკე საკითხია პარტიის წევრთა კავშირები ბიზნეს-მონოპოლიებთან, მათ შორის რუსულ კომპანიებთან და საეჭვო საგარეო მისწრაფებები, რაც პოლიტსაბჭოს წევრთა პრორუსულ ორგანიზაციებთან უშუალო კავშირიდან გამომდინარეობს.

პარტიული შემოსავლების მოზიდვისა და დაფინანსების გამჭვირვალობის საკითხი

პარტიის შექმნასა და ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი ფინანსები სჭირდება. პოლიტიკური ორგანიზაციის დაფინანსების, შემოწირულობებისა თუ ხარჯების გამჭვირვალობა ხელს უწყობს იმგვარი პრობლემების თავიდან აცილებას, რაც საფრთხეს უქმნის საჯარო მოხელეთა კეთილსინდისიერებასა და პოლიტიკური ბერკეტებით კორუფციისა თუ ფინანსური მაქინაციების გადაფარვას უწყობს ხელს. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიერ 2021 წლის მაისში გამოქვეყნებულ ანგარიშში (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. მაისი, 2021 წელი. *პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2020 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები, და ფინანსებზე ზედამხედველობა*) საუბარია საქართველოს საარჩევნო ისტორიის უწყვეტ ტრადიციაზე, რომლის თანახმად, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური გუნდი გაცილებით დიდ ფინანსურ შესაძლებლობებს ფლობს, რაც არათანაბარი საარჩევნო პოლიტიკური გარემოს ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხის კვლევა დემოკრატიული გარემოს უზრუნველყოფისთვის საკვანძო წინაპირობაა.

პარტია "საქართველოსთვის" დაარსებისთანავე გაჩნდა გარკვეული კითხვები მის დაფინანსებასთან დაკავშირებით. აუდიტის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა, რომ

ფორმირებიდან ერთ თვეში, პარტიის შემოწირულობების რაოდენობა 139 000 ლარს შეადგენდა, ხოლო ყველაზე მსხვილი შემომწირველები აღნიშნული პარტიის წევრები - ბერდია სიჭინავა (34 500 ლარი), ალექსანდრე მოწერელია (25 000 ლარი) და გიორგი ხოჯევანიშვილი (25 000 ლარი) იყვნენ (ჩიჩუა ნ., 30 ივნისი, 2021. *ვინ აფინანსებს გიორგი გახარიას.* ნეთგაზეთი). თავად გიორგი გახარიას თქმით, პოლიტიკური ორგანიზაცია დაარსების დღიდან თავისი და თავისი მეგობრების, თანადამფუძნებლების დანაზოგებით ფინანსდება, რაც, მისივე განაცხადით, "ოცნებისთვის" ერთგვარი სასწავლო გამოცდილებაა - სრულიად თეთრი, კანონიერი დაფინანსების მექანიზმების მუშაობისა. რაც შეეხება წინასაარჩევნო პერიოდს, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანგარიშის მიხედვით, გიორგი გახარიას პარტიის შემოწირულობებს - 575 811 ლარს, მხოლოდ მმართველი პარტიის შემოსავალი, 7.8 მილიონი ლარი უსწრებდა წინ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის ჩამოყალიბებიდან მალევე გაჩნდა გარკვეული ბრალდებები მისი დავით კეზერაშვილის მიერ დაფინანსების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ქართული ოცნების თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ გახარიას პოლიტიკური აქტიურობა "ნაციონალური მოძრაობის" წისქვილზე ასხამდა წყალს, ამიტომაც იგი ვერ გამორიცხავდა მსგავსი თეორიის რეალურობასაც. აღნიშნული ფაქტი პარტიის წარმომადგენელმა, ბექა ლილუაშვილმა უარყო და ამ ბრალდებას, ასევე, ფეიკ-ნიუსების გავრცელებას, გახარიას გუნდის დისკრედიტაციის მცდელობა უწოდა.

"ევროპელი სოციალისტების" დეპუტატთა ბიზნეს მონოპოლიებზე და მასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუმცა აუცილებელია აქვე ვახსენოთ, რომ ამ პარტიის დამფუძნებლები, როდესაც "პატრიოტთა ალიანსის" რიგებში ირიცხებოდნენ აქტიურად აფინანსებდნენ საკუთარი ბიუჯეტიდან მოცემულ პოლიტიკურ ორგანიზაციას. მაგალითად, ავთანდილ ენუქიძ-

ემ 2016 და 2020 წლებში "პატრიოტთა ალიანსს" 120 000 ლარი შესწირა. მისი ოჯახის კიდევ ერთი წევრის, ენუქიძის მეუღლის 2020 წლის შემოწირულობა კი 60 000 ლარს შეადგენდა. "ევროპელი სოციალისტების" თავმჯდომარეს, ფრიდონ ინჯიას 2014-2020 წლებში სულ 168 400 ლარი აქვს გადარიცხული ოფიციალურად პარტიისთვის.

რაც შეეხება "ევროპელი სოციალისტების" ოფიციალურ შემოსავლებს, 2021 წლის თებერვლიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით, სულ პარტიისთვის შეწირული თანხის ჯამი 132 000 ლარს შეადგენდა, საიდანაც ყველაზე მეტი 25 000-25 000 ლარი ფრიდონ ინჯიასა და ავთანდილ ენუქიძეზე მოდიოდა. "ევროპელ სოციალისტებს" ამავე მონაცემებით 21 შემომწირველი ჰყავს. წინასაარჩევნო პერიოდში პარტიის მიერ მობილიზებული თანხა 114 500 ლარს შეადგენდა.

"პატრიოტთა ალიანსისგან" დისტანცირების შემდეგ, "ევროპელი სოციალისტების" წევრებმა ქართული მედიის თუ ინტერესთა ჯგუფების ყურადღება უფრო მეტად მიიპყრეს. როგორც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" საპარლამენტო მდივანი, ლიკა საჯაია "რადიო თავისუფლებასთან" ინტერვიუში აღნიშნავდა, ბიზნესის მოქმაგე დეპუტატები მხოლოდ და მხოლოდ "დამაზიანებელი ტრადიცია" გახლავთ ქართული პარტიული სპექტრისთვის. პოლიტიკისა და ბიზნეს სექტორს შორის "გარიგება" მხოლოდ პარტიისადმი შეწირული თანხით არ შემოიფარგლება, ვინაიდან ამ უკანასკნელის წარმომადგენლებს პირადი მოტივებით, საკუთარი კომპანიების მეტი შემოსავლის მოძიებისთვის პოლიტიკური ლეგიტიმაციაც სჭირდებათ, რაც საკანონმდებლო ორგანოში მანდატის მოპოვებით არის შესაძლებელი. შედეგად, ბიზნესმენთა აქტიური ინტეგრაცია პოლიტიკურ სფეროში საფრთხის შემცველია, როგორც პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების, ისე სამართლიანობის პრინციპების დარღვევისა და პოლიტიკური კორუფციის კუთხითაც.

გარდა ამისა, “მედიის განვითარების ფონდის” პროექტის “მითების დეტექტორის” ფარგლებში გამოქვეყნდა კვლევა (2021), რომელიც აერთიანებს “ევროპელი სოციალისტების” პოლიტსაბჭოს წევრთა მიერ გაჟღერებულ პრორუსულ განცხადებებს, რამდენიმე წარმომადგენელს კი პირდაპირ ამხელს კრემლისტურ მედიასთან თუ რუსეთის სახელისუფლებო ფონდების აქტივობებთან საეჭვო კავშირში. ეს, ბუნებრივია, აჩენს საფუძვლიან ეჭვს პარტიისთვის კრემლიდან მიღებული ფინანსური ბენეფიტების შესახებაც. აღნიშნული ინფორმაცია, ვგულისხმობთ ფინანსურ სარგებელს რუსეთიდან, დადასტურებული არ არის, თუმცა ახლად წარმოქმნილი პარტიის ანტიდასავლური პათოსი ცალსახად შეესაბამება სიმართლეს.

საჯაროა ინფორმაცია პარტია “ანა დოლიძე - ხალხისთვის” შემოწირულობების შესახებ. კერძოდ, როგორც “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” ოფიციალური საიტიდან ვიგებთ, 2021 წლის მაისიდან, ანუ პარტიის დაარსებიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით სულ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ მიიღო 65 816 ლარი, კერძო შემომწირველთა რაოდენობა 59-ია და მათი ვინაობა საჯაროდაა ცნობილი. ყველაზე დიდი თანხა - 12 450 ლარი პარტიისთვის გადარიცხული აქვს მერაბ დოლიძეს, შემდეგ კი მას მოსდევს ლაშა ანაკიძე და ალექსანდრე რატიშვილი, შესაბამისად 8 230 და 6 600 ლარით. თავად თავმჯდომარემ, ანა დოლიძემ საკუთარ პარტიას 2 600 ლარი შესწირა. რაც შეეხება უშუალოდ წინასაარჩევნო პერიოდს, 2021 წლის მაისიდან ოქტომბრამდე “ხალხისთვის” კერძო შემოწირულობები ოფიციალური მონაცემებით 25 369 ლარს შეადგენდა.

რაც შეეხება პარტიას “გირჩი - მეტი თავისუფლება”, მისი შემოსავლებისა და წინასაარჩევნოდ მობილიზებული თანხების შესახებ ოფიციალური ცნობები არ არსებობს. როგორც პარტიის წევრები აცხადებენ, “გირჩმა” სახელმწიფო აუდიტს შემოსავლების მონაცემები არ გაუგზავნა, ამიტომაც მისმა წარმომადგენლებმა წინასაარ-

ჩევნოდ შემოწირული თანხების ოდენობის შესახებ მიახლოებითი ინფორმაცია მოგვაწოდეს. მათი თქმით, პარტიის წინასაარჩევნო კამპანია მთლიანად იყო კერძო შემოწირულობებზე დამოკიდებული და გადმომრიცხველთა თანხის ჯამური რაოდენობა დაახლოებით 30 000 ლარს უდრიდა. ჩვენთვის უცნობია პარტიის დამფინანსებელთა ზუსტი სია, თუმცა პარტიის წევრთა თქმით, დაფინანსება მთლიანად მხარდამჭერების შემოწირულობებზე მოდის, შემოსული თანხა კი პარტიის ანგარიშზე ირიცხება და მასზე ინფორმაცია ყოველთვიური რეპორტის სახით სოციალურ ქსელში, პარტიის წევრთა ჯგუფში ქვეყნდება.

პარტიის "ელენე ხოშტარია - დროა" შემოწირულობები "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მიხედვით დაარსებიდან 96 338 ლარია, ხოლო აქედან 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე სულ პარტიამ 73 712 ლარის მობილიზება შეძლო. შემომწირველთა შორის შემოწირულობების რაოდენობით მესამე ადგილს იკავებს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი კახაბერ ოქრიაშვილი - 10 000 ლარით.

პარტიის დასახელება	შემოწირულობების ჯამური რაოდენობა	2021 წლის არჩევნებისთვის მობილიზებული თანხები
საქართველოსთვის	არ არის ცნობილი	575 811 ლარი
ევროპელი სოციალისტები	132 000 ლარი	114 500 ლარი
ანა დოლიძე - ხალხისთვის	65 816 ლარი	25 369 ლარი
გირჩი - მეტი თავისუფლება	არ არის ცნობილი	დაახლოებით 30 000 ლარი

ელენე ხოშტარია - დროა	96 338 ლარი	73 712 ლარი

ცხრილი: პარტიების საერთო შემოწირულობა და 2021 წლის წინასაარჩევნოდ მობილიზებული თანხები

პარტიის დასახელება	მიღებული ხმების რაოდენობა	რა დაჯდა თითო ხმა
საქართველოსთვის	137 764 ხმა	±4,18
ევროპელი სოციალისტები	2 682 ხმა	±42,7
ანა დოლიძე - ხალხისთვის	14 988 ხმა	±1,70
გირჩი - მეტი თავისუფლება	25 467 ხმა	±1.18
ელენე ხოშტარია - დროა	10 859 ხმა	±6,8

ცხრილი: რა დაუჯათ პოლიტიკურ პარტიებს თითო ხმა

აზრთა სხვადასხვაობა საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით - პროდასავლური VS პრორუსული ძალები

პოლიტიკური ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის, საგარეო პრიორიტეტებისადმი გარკვეული პოზიციის დაფიქსირება, რითაც ამომრჩეველს ზოგადი წარმოდგენა ექმნება პარტიის საგარეო ორიენტაციის შესახებ.

საკვლევი პარტიებიდან ოთხის - "საქართველოსთვის", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ელენე ხოშტარია - დროა" ოფიციალურ გვერდებზე ვკითხულობთ, რომ თითოეული მათგანი ცალსახად ემხრობა ქვეყნის ევროინტეგრაციისკენ გადადგმულ ქმედით ნაბიჯებს, რაც, მათივე თქმით, დემოკრატიული წყობის განმტკიცების, პიროვნული თავისუფლებისა და თვითმყოფადობის საწინდარია. მაგალითად, "გირჩის" საგარეო ვექტორში ვკითხულობთ შემდეგ ფრაზას - "...ხედვა ითვალისწინებს ნატოს სრულფასოვან წევრობას, ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობის მაქსიმალურად გაღრმავებას და საქართველოს მოქა-

ლაქეებისთვის საუკეთესო უსაფრთხოების სერვისების შეთავაზებას" (გირჩი - მეტი თავისუფლება. 03 აგვისტო, 2021. *საგარეო ვექტორი და თავდაცვა*). გახარიას პარტიის მიზანი "საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების გზით, თითოეული ადამიანის მეტი თავისუფლების, უსაფრთხოების, ეკონომიკური კეთილდღეობის, ცხოვრების ევროპული სტანდარტის უზრუნველყოფა" არის (პარტია "საქართველოსთვის. *მანიფესტი*, 2021), ხოლო პარტიას "ხალხისთვის" ერთ-ერთ საყოველთაო მიზნად დასახელებული აქვს "პროდასავლური საგარეო პოლიტიკა, აქტიური დეოკუპაცია და მშვიდობა". "დროას" გუნდმა კი 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინ წამოიწყო საინფორმაციო კამპანია - პოლიტიკური წერილების ყოველკვირეული გამოქვეყნება, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოცემულ პერიოდში ამომრჩევლის მოსყიდვის, ანტიდასავლური განცხადებებისა და ქმედებების, სიძულვილის ენისა და სხვა ნეგატიური კამპანიის მახასიათებლების გამოვლენა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან. ამას გარდა, ელენე ხოშტარია აქტიურად იყო ჩართული რუსეთ-უკრაინის ომის მსვლელობისას უკრაინის დასახმარებელ არაერთ ღონისძიებაში. მეტიც, ერთ-ერთი აქცია-პერფორმანსისას, როდესაც პოლიტიკოსი საქართველოს მთავრობის რუსეთის ფედერაციასთან ქართული პროდუქტის რუსულ ბაზარზე შეტანის შესახებ მოლაპარაკებებს აპროტესტებდა, საკუთარ ორ თანაგუნდელთან ერთად სამართალდამცველების მიმართ დაუმორჩილებლობის მუხლით დააკავეს.

მაშასადამე, ზემოთ ხსენებული პარტიები ქვეყნის განვითარების ერთადერთ გზას დასავლურ კურსს მიიჩნევენ, რასაც ვერ ვიტყვით "ევროპელ სოციალისტებზე". "პროდასავლური" სახელის მიუხედავად, აღნიშნული პარტიის პოლიტსაბჭოს წევრთა საჯარო განცხადებები აჩვენებს, რომ მისი წარმომადგენლები როგორც ანტიდასავლურ, ისე პრორუსულ რიტორიკას ხშირად მიმართავენ. მაგალითად, ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრის, თამარ კიკნაძის სა-

ხელი ღიად უკავშირდება პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ ცენტრს. “მითების დეტექტორის” კვლევამ (2021) ცხადჰყო, რომ კიკნაძე აღნიშნული ცენტრის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ხშირადაა ჩართული. ღონისძიებები შინაარსობრივად ქართულ-რუსული ურთიერთობების ინტერპრეტაციასა და ევროპის, როგორც ჩვენი ქვეყნის საფრთხედ წარმოჩენას ემსახურება. გარდა ამ ფონდისა, თამარ კიკნაძე აქტიურად სტუმრობს კრემლის პროპაგანდისტულ პლატფორმას - “სპუტნიკ - საქართველოსაც”, სადაც მან 2021 წლის იანვარშიც ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

იმ გარემოების საილუსტრაციოდ, რომ “ევროპელი სოციალისტების” პოლიტიკური კურსი რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს, დავიმოწმებთ მისი წევრების მხრიდან გაჟღერებულ რამდენიმე ანტისადავლურ ფრაზას:

თამარ კიკნაძე: "საქართველოსა და რუსეთს შორის ომი არ ყოფილა, ეს იყო ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე მოხდა და ჩვენ გავიჭყლიტეთ". (საქართველო და მსოფლიო, 2020 წელი, 20 აპრილი);

ვიქტორ ცაავა: "ჩვენი ხელით ძალდაუტანებლად მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, რომელმაც უფრო მეტად შებოჭა პატარა საქართველო. საქართველომ ასოცირების ხელშეკრულება ევროპასთან დადო, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ევროპის კი არა, ამერიკის კოლონიაცაა. საქართველო ორი ბატონის მონაა". (საქართველო და მსოფლიო, 2020 წელი, 9 სექტემბერი);

პარტიის თანადამფუძნებელი, დავით ზილფიმიანი კატეგორიულად უარყოფს პოლიტიკური ორგანიზაციის ანტიდასავლურობას და ამისთვის მთავარ არგუმენტად წევრთა სიმპათიებს ასახელებს ევროპული სოციალიზმის, სოციალური თანასწორობის ქვეყნების მიმართ. მისივე თქმით, ზედმეტად სტერეოტიპულია საზოგადოების შეხედულება ბიზნესმენების, როგორც ავტომატურად

მემარჯვენე პოზიციების გამტარებელ ძალად აღქმასთან დაკავშირებით, ვინაიდან მისი გუნდის, მათ შორის ბიზნესის სექტორის წარმომადგენელთა პოლიტიკური მიზანი ძლიერი საშუალო ფენის შექმნა არის (კუნჭულია ლ. 14 იანვარი, 2021. *იწჯიას "ევროპელი სოციალისტების" პრორუსული, ანტიდასავლური განწყობები.* რადიო თავისუფლება).

ურთიერთგამომრიცხავია ზილფიმიანის მტკიცება პარტიის დასავლურ ორიენტაციასთან დაკავშირებით და 2021 წლის ოქტომბერში გავრცელებული პარტიის განცხადება 3+3 ფორმატის შესახებ, სადაც ვკითხულობთ, რომ საქართველოს აღნიშნულ რეგიონულ გაერთიანებაში მონაწილეობის შანსი ხელიდან არ უნდა გაეშვა, ვინაიდან მსგავსი მომენტი შესაძლოა ჩვენთვის მეტჯერ აღარც დამდგარიყო. მათივე აზრით, თუკი პლატფორმის ყველა წევრი აღიარებდა უცილობელ დათქმას - საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ პარტია "სახელმწიფოს საბოლოო დაღუპვის" თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილად მიიჩნევდა მოცემულ რეგიონულ გაერთიანებაში ქვეყნის ინტეგრაციას.

ახალი პარტიების როლი არჩევნების შემდგომი პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაში

2021 წლის წინასაარჩევნო გარემო მცირე რაოდენობით შეიცავდა ინტელექტუალურ, იდეოლოგიურ გამოსვლებსა თუ დებატებს, რაც ჩვენთვის კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ პოლიტიკური გარემო დიდწილად პიროვნულ მახასიათებლებსა თუ ოპონენტების მიმართ განხორციელებულ ნეგატიურ კამპანიას ემყარება. ამაში ცალსახად დავრწმუნდებით, თუკი გადავხედავთ კვლევებს, რომლებიც წინასაარჩევნოდ სატელევიზიო არხებზე დარგობრივ, შინაარსობრივ გამოსვლებსა და სიძულვილის ენის გამოყენების პრაქტიკას შეისწავლიდა. მაგალითად, "კომუნიკაციების კავშირის"(2021) ანგარიშის მიხედვით, მედია მონიტორინგი ნათლად

გვიჩვენებს, რომ მიუხედავად პლურალისტული წინასაარჩევნო მედიაგარემოსი, მისი ნაწილი მკვეთრად პოლარიზებული იყო, რაც აისახებოდა კიდეც ზოგიერთი ტელევიზიის მხრიდან დეზინფორმაციის გავრცელების სიხშირესა თუ მანიპულირებაში.

ყველაზე დაბალანსებული, ახალი პოლიტიკური პარტიებისთვის ღია და მიუკერძოებელი გარემო "საზოგადოებრივ მაუწყებელსა" და "აჭარის ტელევიზიას" ჰქონდა, სადაც საეთერო დროის საკმაოდ დიდი ნაწილი ეთმობოდა "ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" გარდა სხვა, განსაკუთრებით ახლადწარმოქმნილ პარტიებს - ვგულისხმობთ "საქართველოსთვის", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლებას", რაც შეეხება "ევროპელ სოციალისტებს", სანამ აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები "პატრიოტთა ალიანსის" შემადგენელ ნაწილად ითვლებოდნენ, მათ ხშირად შეხვდებოდით "ობიექტივის" ეთერში, თუმცა ახალ პარტიად ფორმირების შემდგომ სატელევიზიო სივრცეში მათი პოზიციონირება ძალიან იშვიათი, ხშირ შემთხვევაში შეუმჩნეველია. შეიძლება ითქვას, რომ "გირჩის", "ხალხისთვის" და "დროას" წევრები მეტად არიან ჩართულნი აქტივისტურ აქცია-პერფორმანსებში, რა გზითაც ისინი საკუთარი პოლიტიკური რწმენის შესაბამისად მიუღებელ პოლიტიკურ მოვლენებსა თუ რეფორმებს აპროტესტებენ. მაგალითად, პარტიამ "ანა დოლიძე - ხალხისთვის" საკრებულოსთან აქცია გამართა "არა ტრანსპორტის გაძვირებას" (fortuna.ge., დეკემბერი 23., 2021 *"ანა დოლიძე: ჩამოდით ჩვენი გადასახადებით ნაყიდი ავტომობილებიდან, დააბრუნეთ ბენზინი, რომელსაც ბიუჯეტის ფულით მოიხმართ და შემდეგ ვისაუბროთ ტრანსპორტის გაძვირებაზე".*,), რომელიც მას შემდეგ დაიგეგმა, რაც თბილისის მერმა, კახი კალაძემ ტრანსპორტის ფასის რიგ შემთხვევებში გაორმაგება და ულიმიტო ბარათების სისტემის შემოღება დაანონსა. სამაგიეროდ, პარტიის წევრები ეთანხმებიან ირაკლი ღარიბაშვილის 22 ნოემბრის ინიციატივის პათოსს - ონლაინ კაზინოების

აკრძალვასთან დაკავშირებით, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ პრემიერისთვის ეს გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტია, ვიდრე ქმედითი პოლიტიკის შედეგი. ასევე, "უნიჭო პოპულიზმად" შეაფასა თავად ანა დოლიძემაც მოცემულ ინიციატივას. (Interpressnews.ge., 22 ნოემბერი., 2021., *"ანა დოლიძე - ონლაინ კაზინოების აკრძალვა ღარიბაშვილისთვის არის მხოლოდ საკუთარი რეპუტაციის გადარჩენის საშუალება და განხორციელდება თუ არა ეს გადაწყვეტილება, საკითხავია".,).*

ბუნებრივია, მემარჯვენე პოზიციიდან, ანუ "გირჩის" თვალთახედვით, კაზინოებისთვის გადასახადის გაზრდა და ასაკობრივი რეგულაცია ხელისუფლების ძალადობრივი ქმედების გამოძახილია. პარტიის რეაქცია ღარიბაშვილის განაცხადზე გახლდათ მათ მიერ დაანონსებული ონლაინ კაზინოს შექმნის დაანონსება, რომლის ამოქმედების შემთხვევაშიც "ვერანაირად ვერ ჩაავლებდა" ხელისუფლება ვერც გირჩელებს და ვერც მომხმარებლებს. (On.ge, 25 ნოემბერი, 2021., "ონლაინ კაზინოს ვაწყობთ, თვალყური გვადევნეთ - ჯაფარიძე ქართულ ოცნებას",). პარტიის სახელით უკმაყოფილება გამოთქვა იმედა კლდიაშვილმა, რომლის თქმითაც, მთავრობამ უცხოური კომპანიები კი არ უნდა შეზღუდოს, პირიქით, მის მოვალეობაში ინვესტიციებისა და უცხოური კაპიტალის მოზიდვა უნდა შედიოდეს. გარდა ამისა, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე ახალი ინიციატივით გამოეხმაურა ღარიბაშვილის განცხადებას - საქართველოსთან შედარებით თურქეთში ბევრად იაფი წამლების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კერძოდ, "გირჩი - მეტი თავისუფლება" გეგმავს, გახსნას "შმაფთიაქი", სადაც თურქეთიდან შემოტანილი ხშირად მოხმარებადი წამლები გაიყიდება (Npg.ge., 28 დეკემბერი, 2021. *,,გირჩი მეტი თავისუფლება" აპირებს გახსნას ,,შმაფთიაქი*") მათივე თქმით, მოცემული აფთიაქი იმაში დაგვარწმუნებს, რომ წამლების გაძვირება სახელმწიფო ბიუროკრატიასა და რეგულაციებს უკავშირდება.

პარტია "დროა" გარდა სამოქალაქო აქტივიზმისა, აქტიურად თანამშრომლობს ოპოზიციურ პარტიებთან. მაგალითად, ელენე ხოშტარიამ 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ პარტია "ლელოს" ლიდერთან, მამუკა ხაზარაძესთან გააფორმა კოალიციური თანამშრომლობის დოკუმენტი, რომლის მიზანიც, მათი თქმით, ერთიანი ფრონტის, პლატფორმის შექმნაა ქვეყნის 30 წლიანი ერთპარტიული მმართველობიდან გამოსაყვანად. ამას გარდა, "დროას" დამფუძნებელი, ელენე ხოშტარია ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ოპოზიციონერია, რომელიც სამოქალაქო მოძრაობებთან, მათ შორის "სირცხვილიასთან" თანამშრომლობს.

პარტია "საქართველოსთვის" ლიდერის, გიორგი გახარიას დუმილი არჩევნების შემდეგ შეუმჩნეველი არ დარჩენილა პოლიტიკური ელიტისა და ექსპერტებისთვის. მაგალითად, პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე გახარიას სიჩუმეს "სააკაშვილის ფაქტორს" მიაწერს, ვინაიდან, მისი თქმით, სააკაშვილის დაკავების საკითხმა სხვა ყველა თემა უკანა პლანზე გადაწია, შესაბამისად, გიორგი გახარია ირიბ ომში დამარცხებულად გრძნობს თავს (Alia.ge., 27 დეკემბერი, 2021. *"რომელია ოპოზიციის მთავარი შეცდომა, რამ განაპირობა გახარიას დუმილი და "როცა ციხეში სააკაშვილი გყავს, ნურასოდეს იტყვი ნურასოდეს" – ლაგაზიძე"*). აღნიშნული მოსაზრება ჯერჯერობით ფაქტებით არ დასტურდება, თუმცა პარტიის ლიდერის პასიურობა ბევრ კითხვას აჩენდა მის მხარდამჭერებსა თუ პოლიტიკურ ოპონენტებში. პარტიის 2021 წლის არჩევნების შემდგომი სიახლეებიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩხოროწყუში, მუნიციპალიტეტის საკრებულოში დეპუტატებმა 14 ხმით აირჩიეს პარტია "საქართველოსთვის" წევრი საკრებულოს თავმჯდომარედ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გავრცელდა "ქართული ოცნების" წევრის, ჯანო პერტაიას ბრალდება ოპოზიციური პარტიებისადმი, რომლის მიხედვითაც, ოპოზიცია წინსწრებით შეთანხმდა ერთპიროვნულად აერჩიათ აღნიშნული კანდიდატი, შესაბამისად "ქართული ოცნე-

ბის” წევრებმა უარი განაცხადეს საკრებულოს სხდომათა დარბაზში გამოცხადებაზე. დღეის მონაცემებით, ჩხოროწყუს ახლადარჩეული საკრებული 27 წევრს აერთიანებს, საიდანაც 12 მანდატი ეკუთვნის “ქართულ ოცნებას”, 7-7 მანდატი “საქართველოსთვის” და “ნაციონალურ მოძრაობას”, ხოლო 1 “ლელოს”.

გარდა ამისა, გახარიამ საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ინიციატივას შერიგების შესახებ მხარი დაუჭირა. ამ საკითხზე მან 2021 წლის დეკემბერში, საპატრიარქოში ვიზიტის შემდეგ ისაუბრა და აღნიშნა, რომ დასაფასებელია პრეზიდენტის ამბიციური ტვირთი, ვინაიდან ქვეყნისთვის მსგავსი ინიციატივები ეროვნული კონსენსუსის შესახებ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩაერთვება თუ არა პირადად პროცესში ან რამდენად რეალურად მიაჩნია თანხმობის მიღწევა რადიკალიზაციისა და პოლარიზაციის პირობებში, ამ საკითხებზე პარტიულ ლიდერს დაწვრილებით არ უსაუბრია.

ჩვენ მიერ შესწავლილი პარტიებიდან ყველაზე წარმატებული პარტია “საქართველოსთვისა” არის, თუმცა, ფაქტია, რომ მისი ლიდერის სიჩუმე პოლიტიკურ ორგანიზაციას აზიანებს. არჩევნების შედეგების თვალსაზრისით, გახარიას წარმატების გარანტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლების გახლეჩა აღმოჩნდა, რაშიც სამთავრობო კოალიციის არაერთი წევრის მიერ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ახლადშექმნილ პარტიაში გადასვლას ვგულისხმობთ, თუმცა შიდაპარტიული დაპირისპირებები ამჯერად გიორგი გახარიას გუნდშიც მიმდინარეობს. 2022 წლის იანვარში, ბათუმში პარტია “საქართველოსთვის” მისმა თოთხმეტმა წევრმა დატოვა, მიზეზი კი, მათი თქმით, “ნაციონალურ მოძრაობასთან” გარიგება იყო, რაც პარტიის წარმომადგენლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სხვა საკითხია რეგიონალურ საკრებულოებში გახარიას გუნდის ერთგვარი “დამაბალანსირებელი” როლი, რომელიც “ნაციონალური მოძრაობისა” და “ქართული ოცნების” დაპირისპირების ფონზე კიდევ

უფრო გამოიკვეთა. პარტია "საქართველოსთვის" ამომრჩევლისთვის იქცა ალტერნატივად ორი მთავარი პოლიტიკური ძალისგან თავის ასარიდებლად, რამაც შანსი იმისა, რომ ეს უკანასკნელი საკრებულოებში მეტ ხმას მოიპოვებდა კიდევ უფრო გაზარდა. "ძალთა ბალანსირების" ფუნქცია კარგად ჰქონდა გააზრებული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ბერდია სიჭინავას, რომელმაც სენაკის საკრებულოში პოლიტიკური კრიზისის ფონზე - არჩევნების მეორე ტურიდან თითქმის სამი თვის თავზე სენაკის ოპოზიციურ საკრებულოს (ქართული ოცნება - 16 მანდატი, ნაციონალური მოძრაობა - 13 მანდატი, საქართველოსთვის - 4 მანდატი) კვლავ არ ჰყავდა თავმჯდომარე, "ქართული ოცნების" წარმომადგენლებს მათი კანდიდატურის მხარდაჭერა შესთავაზა, იმისთვის, რომ ინსტიტუციაში პოლიტიკური ბალანსი არ დარღვეულიყო. მიუხედავად ამისა, "ქართული ოცნების" წევრთა ბოიკოტისა და სხდომაზე არ დასწრების გამო, პარტიებმა "საქართველოსთვის" და "ნაციონალური მოძრაობა" საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას გუნდის წევრი, ირაკლი კაჭარავა აირჩიეს, რასაც საბოლოოდ "ქართული ოცნების" მხრიდან პროტესტი მოჰყვა. სენაკის საკრებულო ერთ-ერთია იმ რამდენიმე თვითმმართველი ორგანოთა ჩამონათვალიდან, სადაც მმართველმა პარტიამ უმრავლესობა ვერ მოიპოვა.

შუამავლის როლი გახარიას პარტიამ კიდევ ერთხელ მოირგო რუსეთ-უკრაინას შორის საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე, როდესაც მან ქართულ პარტიულ სპექტრს პარტიული ინტერესების გვერდზე გადადებისა და რეგიონალური მდგომარეობის გასაანალიზებლად დახურული შეხვედრების ორგანიზებისკენ მოუწოდა, თუმცა სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს ამ შეთავაზებაზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

რაც შეეხება "ევროპელ სოციალისტებს", საპარლამენტო ოთხეული დიდი ხანია არ გამოჩენილა აქტიურ პოლიტიკურ სივრცეში. ერთ-ერთი ბოლო აქტივობა, რაც პარტიის მხრიდან განხორცი-

ელდა ჩვენ მიერ ზემოთ ხსენებული განცხადება გახლავთ 3+3 ფორმატის შესახებ, სადაც ისინი მხარს უჭერენ საქართველოს აღნიშნულ მოლაპარაკებებში მონაწილეობას, იმ შემთხვევაში თუკი მისი ტერიტორიული მთლიანობის იდეას პროექტის არცერთი სახელმწიფო არ უარყოფს. ამ განცხადებამდე რამდენიმე თვით ადრე, ფრიდონ ინჯია პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე წარსდგა სიტყვებით - "ისეთი პროგრამები გვჭირდება, რომელიც მოსახლეობას სოფლად დაამაგრებს" (Imedinews.ge., 28 ივნისი, 2021. *"ფრიდონ ინჯია: ისეთი პროგრამები გვჭირდება, რომელიც მოსახლეობას სოფლად დაამაგრებს"*). მისივე თქმით, მხოლოდ "აწარმოე საქართველოში" არ არის საკმარისი დაცლილი სოფლებისთვის, გლეხებისთვის სტიმულის მისაცემად, ამიტომაც სახელმწიფოს მოვალეობად სოფლისთვის გადამამუშავებელი მრეწველობისა თუ სამაცივრო საწარმოების მიწოდება უნდა იქცეს. გარდა ამისა, ფრიდონ ინჯიამ სალომე ზურაბიშვილის ლევან მამალაძის შეწყალება სთხოვა, რომელიც 19 წელია ემიგრაციაშია, ვინაიდან "ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის დროს მას ქრთამის დიდი რაოდენობით გამოძალვის მუხლით 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პრეზიდენტს შეწყალება თავად ლევამ მამალაძემაც სთხოვა მაისში, როდესაც მან წერილი გამოაქვეყნა შემდეგი სიტყვებით: "მომეცით საშუალება დავბრუნდე საქართველოში, ვიყო მხცოვანი დედის გვერდით და ამ რთულ პერიოდში, როგორც რიგითი ჯარისკაცი, ვემსახურო სამშობლოს!". სალომე ზურაბიშვილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

მას შემდეგ, რაც უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის ერთობლივ ტექსტზე უმრავლესობა და ოპოზიცია ვერ შეთანხმდნენ, ფრიდონ ინჯიამ საჯაროდ განაცხადა, რომ "ჩვენს ოპოზიციას საქართველოში ომი სურს". ეს განცხადება კი იქიდან მომდინარეობდა, რომ ოპოზიცია რეზოლუციაში რუსეთისგან მომავალი საფრთხის შესახებ წინადადებას ჩამატებას ითხოვდა. მართალია, ფრი-

დონ ინჯიასა და მისი გუნდის ანტიდასავლურ ნარატივზე უკვე ვისაუბრეთ, თუმცა მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე 2022 წლის თებერვლის ბოლოს ჩატარებულ საგარეო ურთიერთობების კომიტეტის სხდომაზე, ამ უკანასკნელმა პირდაპირ დაადანაშაულა აშშ უკრაინაში ომის დაწყების ხელშეწყობაში. ამას გარდა, მიუხედავად ოპოზიციური ფლანგის პროტესტისა, მათ შორის ჩვენ მიერ სტატიაში განხილული პარტიების - "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "საქართველოსთვის", "ევროპელი სოციალისტები" "ქართული ოცნების" მიერ შემუშავებულ რეზოლუციას, სადაც რუსეთი ნახსენები არ არის, დაეთანხმნენ.

ფრიდონ ინჯია, "მოქალაქეების" თავმჯდომარესთან - ალეკო ელისაშვილთან ერთად, საპარლამენტო ოპოზიციიდან ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სიტყვით გამომსვლელთა რიცხვშია სესიებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პარლამენტარები მუდმივად ეთანხმებიან მმართველი პარტიის გადაწყვეტილებებს, თუნდაც ბოლოდროინდელი ზემოთ ხსენებული რეზოლუციისა და შალვა პაპუაშვილის კანდიდატურის მხარდაჭერა საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ, ალეკო ელისაშვილის საჯარო მადლობა კახა კუჭავას და ა.შ. ფაქტია, ოპოზიციის მახასიათებელი მაკონტროლებელი ფუნქცია "ევროპელი სოციალისტების" შემთხვევაში არც თუ ისე კარგად მუშაობს, ამიტომაც არაერთი გამოცემა თუ პოლიტიკოსი მოცემულ პარტიას პარლამენტში შესვლის მიზნით "ოცნების სატელიტს" ღიად უწოდებს (ლევან ბეჟაშვილი: ივანიშვილის დღევანდელმა განცხადებამ დაადასტურა, რომ პოლიტიკიდან არ წასულა).

ცალკე განხილვის საკითხია "ევროპელი სოციალისტებისა" და რადიკალ-მემარჯვენე მოძრაობის, "ალტ-ინფოს" ღიად პრორუსულ ინტერესთა კორელაცია. ამის ნათელი მაგალითია "3+3 ფორმატში" მონაწილეობის სურვილი ორივე პოლიტიკური ძალისგან. შესაძ-

ლოა თუ არა ამ პარტიათა ალიანსი გადაჭრით ვერ ვიტყვით, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციები საერთო პოლიტიკური მრწამსით ხასიათდებიან და მომავალში შესაძლოა ერთობლივი ძალებითაც შეუდგნენ ანტიდასავლური რიტორიკის აქტიურ ტირაჟირებას.

იმის გასარკვევად, თუ რამდენად ხშირად ექცევიან პარტიები "საქართველოსთვის", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ევროპელი სოციალისტები" და "ელენე ხოშტარია - დროა", აგრეთვე, მათი ლიდერები პოლიტიკური დღის წესრიგის ავანგარდში, ჩვენ შევისწავლეთ სამი ონლაინ-გამოცემის - Netgazeti.ge, Radiotavisufleba.ge და Civil.ge ახალი ამბების სექცია ორი თვის განმავლობაში, კერძოდ, 1 იანვრიდან 28 თებერვლის ჩათვლით. "ნეთგაზეთის" ნიუსებში გახარია და მისი პარტია სულ 14-ჯერ არის დასახელებული, ელენე ხოშტარია 2-ჯერ, თუმცა დანარჩენი სამისგან არცერთის სახელი არ ფიგურირებს ამ დროის განმავლობაში. რაც შეეხება "რადიო თავისუფლებას", აქაც პარტია "საქართველოსთვის" ლიდერობს რვა ნიუსით, მას მოჰყვება "დროა" სამი სტატიით, "ევროპელი სოციალისტების" შესახებ ვხვდებით ერთ სტატიას, ხოლო "გირჩი" და "ხალხისთვის" აქაც საერთოდ არ არის მოხსენიებული. Civil.ge-ზე მხოლოდ თითო-თითო სტატია ეთმობა ამ დროის განმავლობაში გიორგი გახარიასა და ელენე ხოშტარიას. შესაძლოა, მოცემული ვითარება უკრაინის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, უკიდურესად დაძაბულ საერთაშორისო და რეგიონალურ მდგომარეობასაც მივაწეროთ, თუმცა მათი სახელები არც იანვრის შიდაპოლიტიკურ მიმდინარე პროცესებთან არ სახელდება.

პარტიის დასახელება	Netgazeti.ge	Radiotavisufleba.ge	Civil.ge
საქართველოსთვის	14-ჯერ	8-ჯერ	1-ელ
ანა დოლიძე -	-	-	-

ხალხისთვის			
ევროპელი სოციალისტები	-	1-ელ	-
გირჩი - მეტი თავისუფლება	-	-	-
ელენე ხოშტარია - დროა	2-ჯერ	3-ჯერ	1-ელ

ცხრილი: სამი ონლაინ-გამოცემის ნიუსები საკვლევი პარტიების შესახებ (1 იანვარი - 28 თებერვალი)

2022 წლის 8 თებერვალს ამ და სხვა ოპოზიციურ პარტიებს გიგი უგულავამ "ნაციონალური მოძრაობის" "ქოლგის ქვეშ" გაერთიანებისკენ მოუწოდა, სადაც მან ცალკე გამოკვეთა ააკაშვილის როლი, რომლის გარეშეც, მისი თქმით, მომავალი კოალიცია ვერ დაკომპლექტება. აღნიშნული შეთავაზების საპასუხოდ, მიხეილ დაუშვილმა, პარტია "საქართველოსთვის" წევრმა, "ნაციონალურ მოძრაობას" გუშინწინდელი, ხოლო "ქართულ ოცნებას" გუშინდელი დღე უწოდა, რითაც მიანიშნა, რომ გახარიას გუნდი არცერთ მათგანთან კოალიციაში შესვლას არ აპირებს. იქიდან გამომდინარე, რომ "ევროპელი სოციალისტები" სახელისუფლებო ძალის სატელიტად მოიაზრება და მათი წევრები ღიად გამოხატავენ მიხეილ ააკაშვილისადმი უნდობლობას, ცალსახაა, რომ აღნიშნული პარტია "ნაციონალური მოძრაობის" იდეას გაემიჯნება. ფაქტია, რომ თუკი 2024 წლის არჩევნებისთვის 5%-იანი ბარიერი ძალაში დარჩა, მაშინ "საქართველოსთვის" გარდა თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი ძალებით ძალიან გაუჭირდება წარმატების მიღწევა. 2021 წლის 7-13 დეკემბერს ჩატარებული NDI-ის კვლევის თანახმად, 2099 გამოკითხული ადამიანის 80%-ს პოლიტიკურ პარტიათა თანამშრომლობა სწორად მიაჩნიათ, მიუხედავად მათი განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა. ეს, მათი აზრით, პოლიტიკური მრავალფეროვნების

საწინდარია (მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს პარტიათაშორის თანამშრომლობას — NDI), მეორე მხრივ საგრძნობლად დაეცა ცალკეული პარტიების რეიტინგი ამომრჩეველში, კერძოდ გამოკითხულთა 51%-ის აზრით, არცერთი პარტიის შეხედულებებთან ახლოს არ დგას მათი პოზიცია, 18% ასახელებს "ქართულ ოცნებას", 6-6% კი "ნაციონალურ მოძრაობასა" და სხვა პარტიებს ერთად. მაშასადამე, საზოგადოებრივი განწყობებიდან გამომდინარე, ამომრჩეველთა მიზერული რაოდენობით ხასიათდებიან ის ოპოზიციური პარტიები, რომლებიც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხმათა მობილიზებას შეეცდებიან.

დასკვნა

სტატიაში, ჩვენ განვიხილეთ 2021 წლის საარჩევნო ციკლის წინ წარმოქმნილი შედარებით წარმატებული პარტიების - "საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ანა დოლიძე - ხალხისთვის", "ევროპელი სოციალისტები" და "ელენე ხოშტარია - დროა" ფორმირების გზები. კერძოდ, აღნიშნული ხუთი პოლიტიკური სუბიექტიდან ოთხი - "საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ევროპელი სოციალისტები" და "ელენე ხოშტარია - დროა" ყველასთვის კარგად ნაცნობი პოლიტიკურ პარტიებში არსებული განხეთქილების შედეგად წარმოიქმნა, მაშინ, როდესაც "ანა დოლიძე - ხალხისთვის" ერთი წლის განმავლობაში ჯერ სოციალურ მოძრაობად პოზიციონირებდა, შემდგომში, თვითმმართველობის არჩევნების წინ კი სრულიად ახალ პოლიტიკურ ძალად გარდაიქმნა.

გამოვლინდა გარკვეული კანონზომიერება ახალი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესში, კერძოდ, 2021 წელს ფორმირებული პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერებს აქვთ მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილება, რაც, მათ შორის, პარტიული მიკუთვნებულობასაც გულისხმობს, თუმცა ლიდერი-პერ-

სონის როლი განსაკუთრებით იკვეთება პარტიების - "საქართველოსთვის", "გირჩი - მეტი თავისუფლება", "ანა დოლიძე - ხალხისთვის" და "ელენე ხოშტარია - დროა" შემთხვევაში, შესაბამისად, გიორგი გახარიას, ზურაბ გირჩი ჯაფარიძის, ანა დოლიძისა და ელენე ხოშტარიას როლი პარტიული დღის წესრიგის განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ფაქტორია, ვინაიდან ქართველი ამომრჩეველი მნიშვნელოვან დატვირთვას სძენს პიროვნული მახასიათებლების დემონსტრირების შესაძლებლობას ამა თუ იმ პოლიტიკური სუბიექტის მხრიდან. რაც შეეხება "ევროპელ სოციალისტებს", მიუხედავად მისი თავმჯდომარის, ფრიდონ ინჯიას მრავალწლიანი პოლიტიკური კარიერისა, პარტიას არ ჰყავს მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქართული პოლიტიკისთვის არანაკლებ დამახასიათებელ ნიშანთან - ბიზნესის სფეროს შეჭრასთან პოლიტიკურ საკითხებში. "ევროპელი სოციალისტების" წევრები ჯერ "პატრიოტთა ალიანსის" მსხვილი დამფინანსებლები იყვნენ, შემდგომში კი საკუთარი პარტიული მანდატის ქვეშ გახდნენ საკანონმდებლო ორგანოში მოღვაწე ოპოზიციური ფრთა. შესაბამისად, სტატიაში ნაჩვენებია ის საშიშროებები, რომელთა პირისპირაც შეიძლება აღმოჩნდეს პოლიტიკური სფერო, როდესაც შემოსავლების მოზიდვის გამო იძულებულია ბიზნესის სექტორს სრულად დაექვემდებაროს.

განვიხილეთ პარტიული დაფინანსებისა და შემოსავლების მოზიდვის სტრატეგიებიც პარტიებისთვის, მასთან დაკავშირებული საფრთხეები და ფინანსური გამჭვირვალობის მნიშვნელობა. წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე მეტი თანხის მობილიზება პარტიამ "საქართველოსთვის" მოახერხა, რომელიც არჩევნებამდე შემოწირულობების რაოდენობით - 575 811 ლარით "მდიდარ პარტიათა" ხუთეულშიც შევიდა, მას მოსდევს "ევროპელი სოციალისტები" 114 500 ლარით, შემდგომ "ელენე ხოშტარია - დროა" 73 712 ლარით, ხოლო პარტიებს "ანა დოლიძე - ხალხისთვის" და "გირჩი - მეტი თავი-

სუფლება” შემოწირულობების თითქმის თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, დაახლოებით 30 000 ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ინ-ფორმაცია პარტიების “ევროპელი სოციალისტებისა”, “ანა დოლიძე - ხალხისთვის” და “ელენე ხოშტარია - დროა” შემოსავლების შესა-ხებ საჯაროა და გადამოწმებადი, თუმცა “საქართველოსთვის” და “გირჩი - მეტი თავისუფლება” იმ პარტიათა რიცხვში არ ირიცხები-ან, რომლებიც შესაბამის უწყებაში დაფინანსებასთან დაკავშირე-ბულ მონაცემებს წარადგენენ.

განხილულია ის ბრალდებებიც, რომლებიც მოცემული პარ-ტიების შემოსავლის სიჭარბესთან დაკავშირებით გაჩნდა. ვგულის-ხმობთ პარტია “საქართველოსთვის”, რომელიც მოკლე დროში საგრძნობლად დიდ კაპიტალს ფლობდა, რამაც მმართველი პარტი-ისა და სხვა ოპოზიციური პარტიების ვარაუდი გამოიწვია აღნიშნუ-ლი ორგანიზაციის არაკანონიერ, ანდაც საიდუმლო დაფინანსების შესახებ. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, აგრეთვე, “ევროპელი სო-ციალისტების” წევრთა უახლოესი კავშირები კრემლისტურ ორგა-ნიზაციებთან, მათი ბიზნეს ინტერესები და ამ საკითხთან დაკავში-რებული მიკერძოებული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობა სახალხო მანდატის, ლეგიტიმაციის მოპოვებით.

მიუხედავად განსხვავებული მდებარეობისა იდეოლოგიურ კომპასზე, “გირჩი-მეტი თავისუფლება”, “ანა დოლიძე-ხალხის-თვის”, “საქართველოსთვის” და “ელენე ხოშტარია - დროა” ცალსა-ხად ავლენენ ევროპაცენტრისტულ პოზიციას, რაც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირთან დაახლოებასა და ინტეგრაციას გულის-ხმობს. რაც შეეხება “ევროპელი სოციალისტებს”, მისი პოლიტსაბ-ჭოს რამდენიმე წევრის ოფიციალურ მოსკოვთან კავშირს არაერთი კვლევა ადასტურებს, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ანტიდასავ-ლური, ცალსახად პრორუსული შინაარსობრივი მასალის ანალიზს, არამედ უშუალოდ კრემლის დაფინანსებულ ორგანიზაციებთან კავშირს, მისი წევრობასა და ა.შ. რაც, ბუნებრივია, საფრთხეს უქ-

მნის ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეული ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პრიორიტეტების კურსს.

რაც შეეხება აღნიშნულ პარტიათა ამჟამინდელ მდგომარეობას, პოლიტიკურ გავლენებს, თანამედროვე პოლიტიკური კონიუნქტურა კვლავ ორპოლუსიანი სისტემის შესაბამისად იცვლება. კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ ჩვენ მიერ განხილულ პარტიათა წარმომადგენლები ვერ ასრულებენ ე.წ. "აზრის ლიდერების" ფუნქციას და მეტ-ნაკლებად ვერც პოლიტიკურ დღის წესრიგზე ახდენენ განსაკუთრებულ ზეგავლენას, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათგან რამდენიმე აქტიურად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას მიმდინარე მოვლენებისა თუ მთავრობის მიერ დაანონსებულ ცვლილებებისადმი. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესოა პარტიების მიერ ინიცირებული აქცია-პერფორმანსები, რაც ხშირ შემთხვევაში მიმართულია ხელისუფლების კონტროლისა თუ პოლიტიკური უკმაყოფილების გამოსახატად. განსაკუთრებით პროსამთავრობო რიტორიკით ჩვენ მიერ განხილული ხუთი პოლიტიკური ორგანიზაციიდან "ევროპელი სოციალისტები" გამოირჩევიან, რაც არაერთ ოპოზიციურ ძალას პირდაპირ მიანიშნებს მათ ბუტაფორულ ფუნქციაზე, იმისთვის, რომ ოპოზიციის ბოიკოტის მიუხედავად, საკანონმდებლო ორგანო 2020 წლის არჩევნების შემდგომ ამოქმედებულიყო.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, 2024 წლის არჩევნებისთვის მზადების ფაზა, როგორც საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადჰყოფს, ცალკეული პარტიების რეიტინგი პერმანენტულად ეცემა, ამომრჩეველს კი პოლიტიკური მრავალფეროვნება სურს. თანამედროვე პოლიტიკური პროცესები ოპოზიციური სპექტრის მხრიდან დატვირთულია კოალიციური ალიანსებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით. "ნაციონალური მოძრაობა" დანარჩენ პატარა პარტიებს სამომავლოდ გაერთიანებისკენ მოუწოდებს, თუმცა აღნიშნული პარტიები შეშფოთებას გამოთქვამენ, თუ რამდენად შეინარჩუნებენ ისინი საკუთარ ნიშას მთავარი ოპოზიციური პარტიის "ქოლგის ქვეშ",

მაგრამ, მეორე მხრივ, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების 5%-იანი ბარიერი მათთვის ერთგვარი გამოწვევაა, იმის გათვალისწინებითაც, რომ ელექტორატში მუდმივად იზრდება ნიჰილიზმის გრძნობა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისადმი.

არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, ყველაზე წარმატებული გახარიას პარტია აღმოჩნდა, რომელმაც "ქართული ოცნებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" ამომრჩეველი საქართველოს მასშტაბით ორად გაყო. როგორც პარტიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, ისინი მომდევნო არჩევნებისთვის ბევრად უფრო მობილიზებული და მტკიცე სახით წარსდგებიან ხალხის წინაშე, შესაბამისად, თავს დააღწევენ ორპოლუსიანი სისტემის არსებობას ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ თავად ლიდერის სიჩუმე პარტიას აზიანებს, მოცემული პარტიის ზრდის პერსპექტივები ამჟამად უფრო რეალურია, ვიდრე სხვა დანარჩენის. ამას ჩვენი დაკვირვებით რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, გახარიას შემთხვევაში, რომელიც ზედიზედ რამდენიმე თვე სახელდება დადებით პოლიტიკურ სახედ, შეგვიძლია გამოვყოთ მისი, როგორც ძლიერი ლიდერის როლი პარტიის მშენებლობაში. გამოკვეთილი ლიდერის გარდა, პარტია ერთგვარი ალტერნატივაა ენმ-სა და ქართული ოცნებისადმი უარყოფითად განწყობილი ამომრჩევლისადმი. ამაზე მეტყველებს სენაკის, რუსთავისა და ჩხოროწყუს საკრებულოების მაგალითიც, სადაც 2021 წლის თვითმმართველობის შემდეგ თავჯდომარედ პარტია "საქართველოსთვის" წევრები აირჩიეს. ამას გარდა, აღნიშნული პარტია, განსხვავებით "გირჩი - მეტი თავისუფლებისა" და "ანა დოლიძე - ხალხისთვის", ფლობს დიდ კაპიტალს, რაც მომდევნო არჩევნებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით ხმათა მობილიზების მიზნით მნიშვნელოვნად გამოადგება. რთულია საუბარი "გირჩი - მეტი თავისუფლებისა" და "ანა დოლიძე - ხალხისთვის" ზრდის პერსპექტივებზე შეზღუდული ბიუჯეტისა და სპეციფიური, იდეოლოგიზირებული პოლიტიკური კურსის გამო, ვინაიდან მკვეთ-

რად გამოხატული მემარჯვენე-მემარცხენე პოზიციები ამომრჩევლისთვის ან უცხოა, ან მიუღებელი. “ევროპელი სოციალისტები” უფრო ლოიალურად არიან განწყობილნი ხელისუფლებისადმი, ამიტომაც დაშვება მათი ალიანსისა დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებთან საფუძველს მოკლებულია. სამაგიეროდ, მათი პოლიტიკური მრწამსი ემთხვევა “ალტ-ინფოს” ანტიდასავლურ შეხედულებებს, რაც სამომავლოდ ამ უკანასკნელთა ინტერესების გადაკვეთსას შესაძლებელს ხდის, თანაც “ევროპელი სოციალისტების” ლიდერი, ფრიდონ ინჯია საკმაოდ ხშირად სტუმრობს “ალტ-ინფოს” ტელევიზიას.

იანვარი-თებერვლის თვეების ახალი ამბების კონტენტ-ანალიზის შედეგად, ცხადი გახდა, რომ თანამედროვე პოლიტიკურ დღის წესრიგში ამ ხუთი პარტიიდან ყველაზე ხშირად პარტია “საქართველოსთვის” ფიგურირებს, თუმცა შინაარსობრივად აღნიშნული ნიუსები მეტწილად პირად თუ პარტიულ დაპირისპირებას შეეხებოდა და არა მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ინიციატივებს და ა.შ. პარტიაზე “ელენე ხოშტარია - დროა” ვხვდებით მხოლოდ რამდენიმე სტატიას, რაც შეეხება პარტიებს “გირჩი - მეტი თავისუფლება”, “ანა დოლიძე - ხალხისთვის” და “ევროპელი სოციალისტები”, ისინი არ ფიგურირებენ საიტებზე - Radiotavisufleba.ge, Netgazeti.ge და Civil.ge, რაც კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს, რომ აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაციები თანამედროვე პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

• Baldini, Gianfranco, and Adriano Pappalardo. (2009). *Elections, Electoral Systems and Volatile Voters. New York: Palgrave Macmillan.*

• Biezen, Ingrid Van, and Petr Kopecky. (2007). *"The State and the Parties: Public Funding, Public Regulation and Rent-Seeking in Contemporary Democracies." Party Politics 13(2): 235–54.*

• Cotta, Maurizio. (1996)., *"Structuring the New Party Systems after the Dictatorship: Coalitions, Alliances, Fusions and Splits during the Transition and Post Transition Phase." In Stabilizing Fragile Democracies: Comparing Party Systems in Southern and Eastern Europe, eds. Geoffrey Pridham and Paul G Lewis. London and New York: Routledge, 69–99.*

• Demirkol, Ozhan. (2014)., *Why Do Political Parties Split? Understanding Party Splits And Formation of Splinter Parties In Turkey., Department of Political Science İhsan Doğramacı Bilkent University Ankara*

• Kitschelt, Herbert P. (1988). *"Left-Libertarian Parties: Explaining Innovation in Competitive Party Systems." World Politics 40(2): 194–234.*

• Kirchheimer, O. (1966). *'The Transformation of Western European Party Systems', in Joseph Lapalombara and Myron Weiner(eds) Political Parties and Political Development, pp. 177–200. Princeton, NJ: Princeton University Press*

• კინწურაშვილი, თ., (2021). *ანტიდასავლური პროპაგანდა 2020., მედიის განვითარების ფონდი*

• მელიქიძე, გ., (2015). *საარჩევნო კამპანიის სანახაობითი ხასიათი საქართველოში*

• სქოლტბახი, ა. პ., & ნოდია, გ. (2006). *საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი. თბილისი*

• "გავრილოვის ღამემდე" და მერე, ივნისი 19, 2020 https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94/30679009.html

• "გიორგი გახარია - "ოცნების" გმირი და მოღალატე, ოქტომბერი 02, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31488421.html

• “IRI-ის კვლევა პოლიტიკური კრიზისის სარკეში”, აპრილი 06, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31189855.html

• “პოლიტიკოსები IRI-ის კვლევის შედეგებს აფასებენ”, აპრილი 06, 2021 https://civil.ge/ka/archives/410977

• ზურა ჯაფარიძის სიტყვა "გირჩის" დამფუძნებელ შეკრებაზე, მაისი 04, 2016 https://www.youtube.com/watch?v=8FbqescHF8U

• “IRI-ის კვლევა: გამოკითხულთათვის ყველაზე მისაღები საჯარო პირები არიან ილია II, გახარია, კალაძე”, აპრილი 05, 2020 https://www.radiotavisupleba.ge/a/31187870.html

• “პატრიოტთა ალიანსის სიით გასულმა დეპუტატებმა ევროპელი სოციალისტების პარტია დააფუძნეს”, იანვარი 10, 2021 https://civil.ge/ka/archives/390628

• “ფრიდონ ინჯიას "ევროპელი სოციალისტები" პარლამენტში "ქართულ ოცნებასთან" ერთად”, იანვარი 09, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93/31039792.html

• “ანა დოლიძე: ჩვენი ამოსავალი დებულებაა - მერი ხალხისთვის”, აგვისტო 30, 2021https://imedinews.ge/ge/politika/216048/ana-dolidze-chveni-amosavali-debulebaa--meri-khalkhistvis

• “ანა დოლიძემ გალაკტიონის ხიდზე პროგრამა - „მტკვარი ხალხისთვის“ წარადგინა”, სექტემბერი 14, 2021 https://www.interpressnews.ge/ka/article/673959-ana-dolizem-galaktionis-xidze-programa-mtkvari-xalxistvis-caradgina/

• „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ მხარდამჭერებმა აქცია-პერფორმანსი ლოზუნგით: „აღიარეთ ქალები პოლიტიკაში - მე

ვიბრძვი - შემომიერთდი“ გამართეს”, სექტემბერი 09, 2021https://www.interpressnews.ge/ka/article/673211-ana-dolize-xalxistvis-mxardamcherebma-akcia-perpormansi-lozungit-agiaret-kalebi-politikashi-me-vibrzvi-shemomiertdi-gamartes/

• გირჩის პლატფორმა “რძე და ყველი”, აგვისტო 03, 2021 https://girchi.org/ge/media/news/296-rdze-da-qveli-srulad

• “საქართველოსთვის” პროგრამული ხედვა “ჩვენი თბილისი” https://droa.ge/wp-content/uploads/2021/09/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98.pdf

• “დაფუძნდა პარტია „ევროპელი სოციალისტები“ | მიზნები, ამოცანები და პარლამენტში სამუშაო გეგმა”, იანვარი 09, 2021 https://publika.ge/dafudznda-partia-evropeli-socialistebi-miznebi-amocanebi-da-parlamentshi-samushao-gegma/

• “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო”., პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2020 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები, და ფინანსებზე ზედამხედველობა., მაისი., 2021 წელი https://transparency.ge/sites/default/files/politikuri-partiebis-dapinanseba-2020-cels_0.pdf

• “ვინ აფინანსებს გახარიას პარტიას”, ივნისი 20, 2021 https://netgazeti.ge/news/551455/

• “მდიდარი პარტიების ხუთეული - ვინ მიიღო ყველაზე მეტი ფული წინასაარჩევნოდ”, სექტემბერი 15, 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31462008.html

• “ირაკლი კობახიძე გახარიას პარტიის დაფინანსებაზე: იქიდან გამომდინარე, თუ რომელი ტელევიზიები აპიარებენ გახარიას და ვის წისქვილზე ასხამს წყალს მისი პოლიტიკური აქტიურობა, შეიძლება რაღაც ეჭვებზე ვისაუბროთ”, ივნისი 03, 2021 https://pia.ge/news/politika/irakli-kobakhidze-gakharias-partiis-daphinansebaze-ikidan-gamomdinare-tu-romeli-televiziebi-apiareben-gakharias-da-vis-tsiskvilze-askhams-tskals-misi-politikuri-aktiuroba-sheidzleba-raghats-echvebze-visaubrot

• “პარლამენტში "პატრიოტთა ალიანსის" გავლით - რა სურთ ბიზნესმენ დეპუტატებს?”, იანვარი 05, 2021

https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A2%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%97---%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-/31034855.html

- “მითების დეტექტორი”., (2021) “ევროპული სოციალისტების” პოლიტსაბჭოს წევრების კრემლისტური გზავნილები” http://mythdetector.ge/ka/myth/evropuli-sotsialistebis-politsabchos-cevrebis-kremlisturi-gzavnilebi?fbclid=IwAR32ivwbgqYD_GApSY8lxtcodl2opOqwl8qV9eIlh321xEugtYE0b8BwDAY
- “გირჩი - მეტი თავისუფლება”., საგარეო ვექტორი და თავდაცვა., აგვისტო 03, 2021 https://girchi.org/ge/media/news/313-sagareo-vektori-da-tavdatsva
- პარტია „საქართველოსთვის“ მანიფესტი., 2021file:///Users/mac/Downloads/9d7871d7ce8cfbc54430d7e7cadf9367.pdf
- “პარტია ანა დოლიძე - ხალხისთვის”., ჩვენი მიზნები პროდასავლური საგარეო პოლიტიკა (ევროინტეგრაცია, ნატოში ინტეგრაცია), აქტიური დეოკუპაცია და მშვიდობა., 2021https://4people.ge/%e1%83%a9%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c-%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%91/%e1%83%9b%e1%83%98%e1%83%96%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%98/
- “ინჯიას "ევროპელი სოციალისტების" პრორუსული, ანტიდასავლური განწყობები”., იანვარი 14., 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%

E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-
%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-
%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-
%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/31046717.html

- „ევროპელი სოციალისტები“ 3+3 ფორმატის შესახებ განცხადებას ავრცელებენ“., ოქტომბერი 13., 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31507235.html
- კომუნიკაციების კავშირი., (2021) “სიძულვილის ენა და პოლიტიკური მიკერძოება წინასაარჩევნო პერიოდში კვლავ მედიის მთავარ გამოწვევად რჩება” https://comcom.ge/ge/yvela-siaxle/sidzulvilis-ena-da-politikuri-mikerdzoeba-winasaarchevno-periodshi-kvlav-mediis-mtavar-gamowvevad-rcheba.page
- “ანა დოლიძე: ჩამოდით ჩვენი გადასახადებით ნაყიდი ავტომობილებიდან, დააბრუნეთ ბენზინი, რომელსაც ბიუჯეტის ფულით მოიხმართ და შემდეგ ვისაუბროთ ტრანსპორტის გაძვირებაზე”., დეკემბერი 23., 2021 https://fortuna.ge/fortuna/post/ana-dolidze-chamodit-chveni-gadasakhadebit-nayidi-avtomobilebidan-daabrunet-benzini-romelsac-biujetis-fulit-moikhmart-da-shemdeg-visaubrot-transportis-gadzvirebaze
- “ირაკლი ღარიბაშვილი - ონლაინკაზინოებთან დაკავშირებით პირველ ეტაპზე, ვფიქრობთ, გავზარდოთ გადასახადები, აიკრძალოს რეკლამა და 25 წლამდე ავწიოთ ბარიერი, მეორე ეტაპზე კი საერთოდ აიკრძალოს”., ნოემბერი 22, 2021 https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-onlainkazinoebtan-dakavshirebit-pirvel-etapze-vfiqrobt-gavzardot-gadasakhadebi-aikrdzalos-reklama-da-25-wlamde-avwiot-barieri-meore-etapze-ki-saertod-unda-aikrdzalos/
- “ანა დოლიძე - ონლაინ კაზინოების აკრძალვა ღარიბაშვილისთვის არის მხოლოდ საკუთარი რეპუტაციის გადარჩენის საშუალება და განხორციელდება თუ არა ეს გადაწყვეტილება, საკითხავია., ნოემბერი 22., 2021 https://www.interpressnews.ge/ka/article/684819-ana-dolize-onlain-kazinoebis-akrzalva-garibashvilistvis-aris-mxolod-sakutari-reputaciis-

gadarchenis-sashualeba-da-ganxorcieldeba-tu-ara-es-gadacqvetileba-sakitxavia/

• “ონლაინ კაზინოს ვაწყობთ, თვალყური გვადევნეთ — ჯაფარიძე ქართულ ოცნებას”.,ნოემბერი 25., 2021 ვhttps://on.ge/story/94410-%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%97-%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A-%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1

• ,,გირჩი მეტი თავისუფლება“ აპირებს გახსნას ,,შმაფთიაქი“., დეკემბერი 28., 2021 https://npg.ge/ka-GE/Home/Details/7691

• “რომელია ოპოზიციის მთავარი შეცდომა, რამ განაპირობა გახარიას დუმილი და “როცა ციხეში სააკაშვილი გყავს, ნურასოდეს იტყვი ნურასოდეს” – ლაგაზიძე”., დეკემბერი 27., 2021 https://www.alia.ge/romelia-opozitsiis-mthavari-shetsdoma-ram-ganapiroba-gakharias-dumili-da-rotsa-tsikheshi-saakashvili-gqhavs-nurasodes-itqhvi-nurasodes-lagazidze/

• NDI-ის კვლევა., თებერვალი., 2021., საზოგადოების განწყობა საქართველოში

https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_Public%20Opinion%20Poll_February%202021_GEO_Final.pdf

• “ჩხოროწყუში საკრებულოს თავმჯდომარე გახარიას პარტიიდან აირჩიეს”., დეკემბერი 23., 2021 https://www.radiotavisupleba.ge/a/31622677.html

• “გახარია მხარს უჭერს ზურაბიშვილის შერიგების ინიციატივას”., დეკემბერი 22., 2021 https://netgazeti.ge/news/583683/

• “ფრიდონ ინჯია: ისეთი პროგრამები გვჭირდება, რომელიც

მოსახლეობას სოფლად დაამაგრებს”., ივნისი 28., 2021 https://imedinews.ge/ge/politika/208215/pridon-injia-iseti-programebi-gvchirdeba-romelits-mosakhleobas-soplad-daamagrebs

- “ფრიდონ ინჯიამ სალომე ზურაბიშვილს ლევან მამალაძის შეწყალება სთხოვა”. მარტი 16., 2021 https://imedinews.ge/ge/politika/191936/pridon-injiam-salome-zurabishvils-levan-mamaladzis-shetskaleba-stkhova
- “ლევან მამალაძე პრეზიდენტს შეწყალებას სთხოვს”., მაისი 18., 2021

https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A1/30619319.html

Abstract

The article discusses the forming ways of new political parties before the 2021 local self-governing elections on the example of five relatively successful political parties (Ana Dolidze – For People", "For Georgia", "Girchi – More Freedom", "European Socialists" and "Elene Khoshtaria – Droa"). The first of these parties is an attempt by a leader to form a new party. The following four were created as a result of divisions within existing parties. Also, the importance of the leader in Georgian party politics is highlighted.

The article analyzes the major program priorities of the above mentioned parties, their external orientation as EU-oriented and Pro-Russian forces as well as the transparency issue of funding and donations.

Key words: Self-Governance Election; Political Party Funding; 1% threshold; Ideology; Georgia;